



დimitრი სილაქაძე  
Dimitri Silakadze

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა  
და ტხინვალის რეგიონის  
ბოლშევიკური აჯანყებები  
1918-1920 წლებში

DEMOCRATIC REPUBLIC OF GEORGIA  
AND BOLSHEVIK UPRISINGS  
IN THE TSKHINVALI REGION  
IN 1918-1920

დimitრი სილაკაძე  
Dimitri Silakadze



საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა  
და ხსინვანის რეგიონის  
ბოლშევიკური აჯანყებები  
1918-1920 წლებში

DEMOCRATIC REPUBLIC OF GEORGIA  
AND BOLSHEVIK UPRISINGS  
IN THE TSKHINVALI REGION  
IN 1918-1920

თბილისი 2022 Tbilisi

ავტორი: დიმიტრი სილაქაძე

რედაქტორი: თინათინ ევდოშვილი

მთარგმნელი: სალომე გეგეშიძე

ინგლისური ტექსტის რედაქტორი: ქეთი რუთ დევისი

ქართული ტექსტის კორექტორი: მარია ჯანიკაშვილი

დიზაინი და დაკაბადონება: ნატა ყუბანიშვილი

ფოტო ყდაზე: სახალხო გვარდიელები, ცენტრში მარცხნიდან მესამე, გვარდიის მეთაური - ვალიკო ჯუღელი

Author: Dimitri Silakadze

Editor: Tinatin Evdoshvili

Translator: Salome Gegeshidze

Editor of English Text: Katie Ruth Davis

Georgian text corrector: Marika Janikashvili

Designer: Nata Kubaneishvili

Photo on the cover: People's Guardsmen, in the center the third from the left commander of the Guard - Valiko Jugheli



საქართველოს  
არქივები  
National  
Archives of  
Georgia



საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი  
GEORGIAN FOUNDATION FOR STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

© საქართველოს ეროვნული არქივი

© რონდელის ფონდი

© ყველა უფლება დაცულია

© All rights reserved

Isbn 978-9941-8-4899-5

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა  
და მხინვარის რეგიონის ბოლშევიკური აჯანყებები  
1918-1920 წლებში

2019 წლის 9 ივლისს რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა განაცხადა, რომ 1919-1920 წლებში ქართული ჯარები ოსეთში სასტიკად იქცეოდნენ, მისივე თქმით, ეს ზუსტად ისაა, რასაც დღეს გენოციდს უწოდებენ.<sup>1</sup> 2019 წლის 19 ივლისს ცხინვალის საოკუპაციო რეჟიმმა რუსეთის ხელისუფლებას საქართველოს მიერ ოსების გენოციდის აღიარების თხოვნით მიმართა.<sup>2</sup> იმავე წლის სექტემბერში რუსეთის სახელმწიფო დემაში შეიქმნა ამ საკითხის შემსწავლელი სამუშაო ჯგუფი.<sup>3</sup> ოკუპირებულ ცხინვალში 2020 წელს 20 ივნისი გენოციდის დღედ გამოაცხადეს.<sup>4</sup> საერთოდ „გენოციდის“ საკითხი ახალი არ არის და იგი დაძაბული პოლიტიკური მოვლენების პარალელურად წამოიწვეს ხოლმე წინა პლანზე. ამ ყველაფერს კი საფუძველი 1990 წლის 20 სექტემბერს ჩაეყარა, როდესაც სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საბჭომ 1920 წლის მოვლენებს გენოციდის კვალიფიკაცია მიანიჭა. მოგვიანებით, 2007 წელს, ე.წ. სამხრეთ ოსეთის პარლამენტმა 1918-1920 წლების მოვლენები შეაფასა, როგორც ოსი ხალხის ეროვნულ-განმანთავისუფლებელი ბრძოლა, ხოლო საქართველოს მთავრობის მოქმედება, როგორც ოსი ხალხის გენოციდი.<sup>5</sup>

საკითხი სრულიად პოლიტიზებულია, რაც ისტორიული რეალობის დამახინჯების საფუძველს ქმნის და საკითხის კვლევას ართულებს. კვლევის მიზანია გამოქვეყნებულ დოკუმენტებსა და ნაშრომებზე, ასევე აქამდე გამოუქვეყნებელ უცნობ საარქივო დოკუმენტებზე, პრესასა და მოქმედი პირების მოგონებებზე დაყრდნობით გავაანალიზოთ და ობიექტურად

1 <https://regnum.ru/news/polit/2662863.html> 31.05.2021

2 <https://ria.ru/20190719/1556702355.html> 31.05. 2021

3 <http://duma.gov.ru/news/46172/> 31.05.2021

4 <https://tass.ru/mezhdunarodnaya-panorama/8777475> 31.05.2021

5 [http://osinform.org/4518-deklaratsija\\_o\\_genotside\\_1920\\_goda\\_v\\_juzhnoj\\_osetii.html](http://osinform.org/4518-deklaratsija_o_genotside_1920_goda_v_juzhnoj_osetii.html) 31.05.2021; <https://regnum.ru/news/society/727409.html> 31:05.2021

მოგითხროთ, თუ რა ხდებოდა ერთი საუკუნის წინ ცხინვალის რეგიონში. როგორც ისტორიკოსი ლევან თოიძე წერდა: „ამბობენ ჭრილობებს სიმართლე კურნავსო. არა ურთიერთსაყვედურისათვის, არამედ სიმართლის დასადგენად და სამომავლოდ გაკვეთილების გამოსატანად ობიექტური ისტორიის მოხმობაა საჭირო“.<sup>6</sup>

გენოციდი ყველაზე უკეთ მოსახლეობის რაოდენობის დინამიკაში აისახება, შესაბამისად ასეთ შემთხვევაში მოსახლეობის რაოდენობა მკვეთრად იკლებს. ვნახოთ, რა მდგომარეობაა ამ თვალსაზრისით ოსებთან მიმართებაში. ამისთვის გამოგვადგება 1917 წლის რუსეთის იმპერიის სასოფლო-სამეურნეო და 1926 წლის საბჭოთა კავშირის საყოველთაო აღწერების შედარებითი ანალიზი. 1917 წლის რუსეთის იმპერიის სასოფლო-სამეურნეო აღწერის მიხედვით იმავე ტერიტორიაზე, სადაც 1926 წლის აღწერაც ჩატარდა, 2 362 510 ადამიანი ცხოვრობდა.<sup>7</sup> 1926 წლის საბჭოთა კავშირის საყოველთაო აღწერით კი უკვე – 2 677 233.<sup>8</sup> 1917 წლის მონაცემებით, თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებში ცხოვრობდა 95 596 ოსი ეროვნების მოქალაქე, ხოლო 1926 წელს კი 113 298.<sup>9</sup> გამოდის, 9 წლის განმავლობაში საქართველოს მოსახლეობა ოსების ჩათვლით 13.3 პროცენტით გაზრდილა, ოსების გარეშე კი 13.1 პროცენტით, ხოლო იმავე პერიოდში საქართველოში მცხოვრები ოსების რაოდენობა – 18.5 პროცენტით. დემოგრაფიული სტატისტიკის შედარებითი ანალიზი გვიჩვენებს, რომ ოსების რაოდენობის ზრდა 1.4-ჯერ აღემატებოდა რესპუბლიკის მოსახლეობის ზრდის ტემპს. შესაძლოა,

6 ლევან თოიძე, როგორ შეიქმნა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, თბ., 1990, გვ. 38.

7 გიორგი ფერაძე, საქართველოს მოსახლეობა 1917 წლის აღწერის მიხედვით, საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო, სტატისტიკური მონაცემი N1, თბ., 1921, გვ. 23-25. მონაცემს მოვაკვლი ართვინის ოლქისა და ქალაქ ართვინის მოსახლეობის რაოდენობა, რადგანაც 1926 წელს ქალაქი ართვინი და ართვინის ოლქი საქართველოს შემადგენლობაში აღარ შედიოდა. მისი მონაცემი შედარებისას არ გამოგვადგებოდა.

8 ვახტანგ ჯაოშილი, საქართველოს მოსახლეობა XVIII-XX საუკუნეებში, თბ., 1984, გვ. 126.

9 გიორგი ფერაძე, საქართველოს მოსახლეობა 1917 წლის აღწერის მიხედვით, გვ. 23-26; ვახტანგ ჯაოშილი, საქართველოს მოსახლეობა XVIII-XX საუკუნეებში, გვ. 139.

1917 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერა, რომელიც მოსახლეობასაც აღწერდა, ვერ იყო ზედმიწევნით ზუსტი, თუმცა ამ შემთხვევაში ცდომილება საერთო იქნება ყველასთვის. სტატისტიკური მონაცემებით, არავითარი გენოციდის კვალი არ ჩანს. პირიქით, ოსური მოსახლეობის ზრდა აღემატება რესპუბლიკის მოსახლეობის ზრდის ტემპს. მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობის ზრდის დინამიკის ანალიზი გენოციდს გამოორიცხავს, ეს მაინც არ არის საკმარისი ისტორიული სურათის აღსადგენად.

ხალხთა მიგრაცია საქართველოს ტერიტორიაზე მუდამ ხდებოდა, ოსური მოსახლეობის ინტენსიური ჩამოსახლება კი XVII-XVIII საუკუნეებში დაიწყო. XVIII საუკუნეში ტერმინი „სამხრეთ ოსეთი“ საერთოდ არ არსებობდა, მაგრამ, თანამედროვე რუსული და სეპარატისტული ცხინვალის პოლიტიკური წრეების, ისტორიკოსებისა და პროპაგანდის მტკიცებით, სამხრეთ ოსეთი რუსეთს ჯერ კიდევ 1774 წელს შეუერთდა.<sup>10</sup> სინამდვილეში ცხინვალის რეგიონი ქართლ-კახეთის სამეფოს ნაწილი იყო და მას ქართველი ფეოდალები მართავდნენ. იმხანად ცხინვალსა და მის მიმდებარე სოფლებში ოსები საერთოდ არ ცხოვრობდნენ. მათი განსახლების ძირითადი არეალი შიდა ქართლის მთიანი ზოლი იყო.<sup>11</sup> რუსული პროპაგანდა კი რუსეთ-ოსმალეთს შორის 1774 წელს დადებულ ზავს ეყრდნობა, მიუხედავად იმისა, რომ ზავში ოსეთი ნახსენებაც არ არის. ზავის 21-ე მუხლის მიხედვით, რუსეთის დაქვემდებარებაში გადავიდა დიდი და მცირე ყაბარდო (ცნობილია, რომ იმ დროს ყაბარდოს დაქვემდებარებაში შედიოდა ის ტერიტორია, რომელსაც ოსეთი ერქვა, ახლა კი ჩრდილო ოსეთს უწოდებენ). ასე რომ, ცხინვალის რეგიონთან ამ ზავს არანაირი კავშირი არ ჰქონდა<sup>12</sup> და ეს ყველაფერი, წერილობითი

10 <https://regnum.ru/news/polit/2662863.html> 31.05.2021; Мариам Лордкипанидзе, Георгий Отхмезури. Шида Картли (Исторический экскурс), сборник Осетины в Грузии., Тбилиси, 2015, Стр. 37.

11 აპოლონ თაბუაშვილი, ქალაქ ცხინვალისა და მისი მიმდებარე სოფლების აღწერის დაფორები (XVIII საუკუნის II ნახევარი), თბ., 2013, გვ.17-18; 22-26; Мариам Лордкиპанидзе, Георгий Отхмезури. Шида Картли (Исторический экскурс). Сборник Осетины в Грузии, стр. 34.

12 როლანდ თოფჩიშვილი, ოსები ისტორიულ და თანამედროვე საქართველოში, თბ., 2019, გვ.12-14; Е. И. Дружинина, Кючук-Кайнарджийский мир 1774 года (его подготовка и заключение), Москва, 1955, стр. 286; 349-360.





რუსეთის იმპერიის  
 1792 წლის ოფიციალური  
 ატლასზე ჩანს, რომ  
 რუსეთის იმპერიის  
 კავკასიის სამეფონსაცვლელს  
 საზღვარი ვლადიკავკაზის  
 მახლობლად გადიოდა.



წყაროების გარდა, კარგად ჩანს თანადროულ რუსულ ოფიციალურ რუკებზეც.

ქართლ-კახეთში რუსეთის მიერ 1784 წელს მოვლენილი წარმომადგენლის, სტეფანე ბურნაშოვის, მიერ შედგენილ რუკაზე სამხრეთ ოსეთი არ არსებობს და ეს ტერიტორია ქართლ-კახეთის სამეფოს ნაწილია. რუკაზე წარწერა „ოსეთი“ ჩრდილო კავკასიაში ფიქსირდება.<sup>13</sup> 1792 წლის რუსეთის იმპერიის ოფიციალური ატლასის მიხედვით კი კავკასიის სამეფოსნაცვლოს ტერიტორია სამხრეთ კავკასიაში არ აღწევდა.<sup>14</sup>

1801 წელს რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე I-მა ქართლ-კახეთის სამეფო თვითნებურად გააუქმა და ის ტერიტორია, რომელსაც დღეს ცხინვალის რეგიონი ეწოდება, სხვა დანარჩენი ქართული მხარეების მსგავსად რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში აღმოჩნდა. XIX საუკუნეში ოსები აღმოსავლეთ საქართველოს სხვა მთიელებთან ერთად იმპერიას რამდენჯერმე აუჯანყდნენ; მაგალითად, ისინი აქტიურად მონაწილეობდნენ 1804 წლის მთიულეთის აჯანყებაში, რომლის ჩახშობის შემდეგ რუსულმა ჯარმა გადაწვა 9 ოსური სოფელი. ოსები მონაწილეობდნენ 1810-1811 წლებში ქართლ-კახეთის მეფის – ერეკლე II-ის – შვილიშვილის ლეონ ბაგრატიონის აჯანყებაში. აჯანყების დამარცხების შემდეგ რუსეთის არმიამ და მათ დაქვემდებარებაში მყოფმა ქართულმა მილიციამ ჯავის ხეობაში 20 სოფელი გადაწვა. სადამსჯელო ოპერაციის დროს დაიღუპა 100-ზე მეტი ოსი.<sup>15</sup>

ტერმინი „სამხრეთ ოსეთი“ პირველად XIX საუკუნეში, კერძოდ, 1830 წელს გაზეთ „Тифлисские Ведомост“-ში გამოჩნდა, თუმცა ამ ტერმინს ოფიციალური მნიშვნელობა არ ჰქონდა და ძალიან იშვიათად იყენებდნენ.<sup>16</sup>

1843 წელს საქართველო-იმერეთის გუბერნიის ტერიტორიის ფარგლებში გორის მაზრას გამოეყო და ცალკე ჩამოყალიბდა ოსეთის

13 Джондо Гвасалиа, Шиди Картли и Осетинская проблема, сборник Осетины в Грузии., Тбилиси, 2015, Стр. 65.

14 Атлас Российской империи, Санкт-Петербург, 1792, лист 43.

15 Акты собранные Кавказской Археографической комиссией Т.4, Тифлиси, 1870, стр.466; როლანდ თოფჩიშვილი, ოსები ისტორიულ და თანამედროვე საქართველოში, 15-16.

16 Соломон Лекишвили, Когда возник термин „Южная Осетия?“, сборник Осетины в Грузии, Тбилиси, 2015, стр.206-216.

„ოკრუგი“ (ოლქი), რომელიც შედგებოდა ჯავის, პატარა ლიახვისა და ნარის უბნებისგან. ეს „ოკრუგი“ დღევანდელი ცხინვალის რეგიონის დაახლოებით მესამედს მოიცავდა და მან სულ ცოტა ხანს იარსება. 1859 წელს ოსეთის „ოკრუგი“ ნარის უბნის გამოკლებით კვლავ გორის მაზრას დაუბრუნდა და მთის ოსეთის საპოლიციო უბანი ეწოდა.<sup>17</sup>

1917 წელს რუსეთის იმპერიაში დიდი ცვლილებები დაიწყო. თებერვლის რევოლუციას 25 ოქტომბერს ბოლშევიკური გადატრიალება მოჰყვა. კავკასიის რეგიონი მეტროპოლიას ჩამოსცილდა. თბილისში დროებითი მმართველობითი ორგანო – ამიერკავკასიის კომისარიატი – შეიქმნა. ბოლშევიკები საქართველოში პოპულარობით არ სარგებლობდნენ, თუმცა ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად ყველა მეთოდს მიმართავდნენ. ისინი საკუთარ დასაყრდენს მსოფლიო ომისგან გადაღლილ ჯარისკაცებსა და უკმაყოფილო გლეხებში ეძებდნენ და მათი საშუალებით შეიარაღებულ რაზმებს ქმნიდნენ.

სოციალურთან ერთად რევოლუციამ ეროვნული თვითგამორკვევის საკითხიც აქტუალური გახადა. 1917-1918 წლებში შიდა ქართლში მცხოვრები ოსები ცალკე სამაზრო ადმინისტრაციული ერთობის ჩამოყალიბებას ითხოვდნენ. 1917 წელს, რუსეთის რევოლუციების ხანაში, თბილისისა და ქუთაისის გუბერნიაში 95 596 ოსი ცხოვრობდა. მათგან ყველაზე მეტი – 61 584 – გორის მაზრაში, რომლის სრული მოსახლეობა 222 693 ადამიანს შეადგენდა. დუშეთის მაზრის 67 931 მოსახლიდან კი 19 392 იყო ეთნიკურად ოსი.<sup>18</sup> გორის მაზრაში ოსები უდიდეს უმრავლესობას შეადგენდნენ მთის ოსეთის საპოლიციო უბანში, სადაც 5 სასოფლო საზოგადოების (ჯავის, ყემულთის, როკის, ორტევის, წუნარის) მკვიდრი 21 073 ადამიანიდან თითქმის ყველა (20 414) ოსია. იგივე სურათი გვაქვს ყორნისშიც, სადაც 5271 მცხოვრებიდან 5211 ოსი იყო.<sup>19</sup> რაც შეეხება ქალაქ

17 Джондо Гвасалиа, Шида Картли и Осетинская проблема, сборник Осетины в Грузии, стр. 66-67.

18 გიორგი ფერაძე, საქართველოს მოსახლეობა 1917 წლის აღწერის მიხედვით, საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო, სტატისტიკური მოამბე №1. თბ.1921. გვ. 14; 23-25.

19 Таймураз Тадтаев, Южная Оссетия в 1920 году (часть 1), Вестник Северо-Осетинского государственного университета им. К.Л. Хетагурова, Общественные Науки 2015, N 2, Владикавказ, стр.55.

ცხინვალს, მისი მოსახლეობა იმ დროს 5033 მოსახლისგან შედგებოდა და მხოლოდ 533 იყო ეთნიკური ოსი.<sup>20</sup>

1917 წლის 15-17 დეკემბერს ცხინვალში გაიმართა სამხრეთ ოსეთის დელეგატთა მეორე ყრილობა. ყრილობაზე აირჩიეს სამხრეთ ოსეთის ეროვნული საბჭო და მიიღეს რეზოლუცია, რომელშიც სამხრეთ ოსეთისთვის ფართო თვითმმართველობის მინიჭების სურვილს გამოთქვამდნენ. 1918 წლის 10 იანვარს სამხრეთ ოსეთის ეროვნულმა საბჭომ ამიერკავკასიის კომისარიატს წარუდგინა პროექტი სამაზრო ადმინისტრაციული თვითმმართველი ერთეულის ჩამოყალიბების შესახებ.<sup>21</sup> პარალელურად ბოლშევიკები, ასევე მათ მიერ ნაქმრებული ფრონტიდან დაბრუნებული ჯარისკაცებისა და გლეხების ნაწილი შეიარაღებულ რაზმებს ქმნიდნენ. ისინი მაქსიმუმ – ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად, მინიმუმ კი ყოფილი თავადაზნაურების ძარცვა-გლეჯისთვის იბრძოდნენ. სიტუაციას ამწვავებდა გლეხებისთვის უმნიშვნელოვანესი და ჯერ კიდევ გადაუჭრელი მიწის საკითხი. 1918 წლის იანვარ-თებერვალში ქუთაისში, გორსა და თელავში განლაგებული ქართული პოლკების ერთ ნაწილში იყო ბოლშევიკური გამოსვლები, რომლებიც გვარდიამ ჩაახშო.<sup>22</sup> იმავე პერიოდში ფრონტიდან დაბრუნებულმა ოფიცერმა ისაკ ხარებოვმა ნაფრონტალ ჯარისკაცებთან ერთად გორის მაზრაში შექმნა 300-კაციანი ოსური შეიარაღებული რაზმი და ქართველი თავადაზნაურების დანაშაულები დაიწყო. გორის სამაზრო მილიციის ოპერატიული მონაცემები ძალიან მძიმე სურათს გვიხატავს: ამბოხებულებმა გაძარცვეს და გადაწვეს გორის მაზრის 30-მდე სოფელი, წამებით მოკლეს, დაწვეს ან დახვრიტეს ათეულობით ადამიანი.<sup>23</sup> „სოფელ ყორნისში ქალიან-ბავშვიანა ამონყვეტილ ხერხეულიძეებს ერთი ძმა გადაურჩა, რომელმაც ხვითს შეაფარა თავი. გაქცეულს ექვსი ცხენოსანი ოსი დაადევნეს. დაიჭირეს, შეჰკრეს და წაიყვანეს... დაიწყო ასე: ოსების სოფელ ბალთას 28 იანვარს შესდგა მიტინგი. ყრილობამ დაადგინა

20 გიორგი ფერაძე, საქართველოს მოსახლეობა 1917 წლის აღწერის მიხედვით, გვ.25.

21 ლევან თოიძე, როგორ შეიქმნა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, გვ.15-18.

22 ვაზეთი „ერთობა“, 1918 წლის თებერვალი: N31; N 32; N36; N42; N43; N45.

23 Борьба трудящихся Юго-Осетии за Советскую власть 1917-1921 гг., Документы и Материалы, Сталинир, 1960, Стр .17-18; შოთა ვადაჭკორია, ოსური მითი და ქართული სინამდვილე (პასუხად ოს ისტორიკოსებს), თბ.2012, გვ.5-7.



აჯანყებული ოსი ბოლშევიკების რაზმი

შეებრძოლოს თავადაზნაურთ. ორი დღის შემდეგ შეიარაღებული ბრბო დაჰყვა სოფლებს: აბანოს, აბისს, წერონისს, ავლევეს და კნოლევეს. დაარბია და დაირეკა თავად აზნაურნი...”.<sup>24</sup> ხშირად ასეთი თავდასხმები ორგანიზებული ხასიათის იყო.

1918 წლის დასაწყისში თბილისში შეიქმნა სამხრეთ ოსეთის ბოლშევიკური ორგანიზაცია „ჩერმენი“, რომელიც შევიდა რუსეთის ბოლშევიკური პარტიის თბილისის კომიტეტში, როგორც რაიონული ორგანიზაცია. „ჩერმენის“ წევრები მაშინვე შეუდგნენ პროჰაგანდას შიდა ქართლის ოსურ სოფლებში. ისინი ბოლშევიკური პარტიისა და ცხინვალის რეგიონის სოფლების მოსახლეობის დამაკავშირებელი რგოლის ფუნქციას ასრულებდნენ. სწორედ მათი მეშვეობით გვეგვადნენ ბოლშევიკები აჯანყებას რეგიონში.<sup>25</sup> ამიერკავკასიის კომისარიატმა წესრიგის აღსადგენად მაზრაში გვარდიელთა რამდენიმე ასეული გაგზავნა ეროვნებით ოსი კოსტა ყაზიევის (ყაზიშვილი) მეთაურობით. გორის მაზრაში

24 გაზ. „საქართველო“, 1918 წლის 14 თებერვალი, N 36, გვ. 4.

25 ბ. პლიევი, სამხრეთ ოსეთის ბოლშევიკური ორგანიზაციის საბრძოლო გზა, თბ., 1978, გვ. 6-9.

მიმდინარე მოვლენების პარალელურად 1918 წლის მარტში პირველი მსოფლიო ომის კავკასიის ფრონტზე საბრძოლო მოქმედებები განაახლა ოსმალურმა არმიამ, ამიტომ ამიერკავკასიის კომისარიატმა სამხედრო ნაწილები ფრონტისკენ გადაისროლა. იმ დროს გორის მაზრაში მოთარეშე რაზმი კიდევ უფრო ასუსტებდა კომისარიატის ისედაც მწირ სამხედრო შესაძლებლობებს.

1918 წლის 2-4 მარტს სამხრეთ ოსეთის ეროვნული საბჭოს პირველ სესიაზე დეკლარაციებმა იმსჯელეს ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლის აუცილებლობაზე და დაგმეს მაზრაში არსებული მდგომარეობა.<sup>26</sup> მიუხედავად ამისა, სიტუაცია უფრო და უფრო მძიმდებოდა. ბოლშევიკების მიერ შეგულიანებული მოსახლეობა აჯანყებისთვის ემზადებოდა. გვარდიამ მათი განიარაღების გეგმა შეიმუშავა. 13 მარტს ყაზიევმა სცადა სოფელ ერედვის მოსახლეობისგან იარაღის ამოღება, მაგრამ ბოლშევიკური რაზმის ჩასაფრებაში მოყვა და ცხინვალისკენ დაიხია. მეორე დღეს, 14 მარტს, სოფელ ვანათში შეიკრიბნენ „რევოლუციონერ გლეხთა კავშირის“ პრეზიდიუმის წევრები და მიიღეს გადაწყვეტილება, რომ იარაღს არ ჩააბარებდნენ. მათ შექმნეს რევოლუციური ტრიბუნალი და მეორე დღეს დანიშნეს მითინგი სოფელ ვანათში.<sup>27</sup>

15-16 მარტს ამბოხებულები ცხინვალს მიუახლოვდნენ და მთავრობას ულტიმატუმი წაუყენეს. ისინი მოითხოვდნენ მინების დაუყოვნებლად დანაწილებას და გორის მაზრიდან თავად-აზნაურთა გაქცევას.<sup>28</sup> ცხინვალში კოსტა ყაზიევის დასახმარებლად გორის მაზრის კომისარი გიორგი მაჩაბელი მივიდა გვარდიელთა რაზმით. ვითარების მოსაწესრიგებლად ცხინვალში ჩავიდნენ ამიერკავკასიის სეიმის წევრი და სამხრეთ ოსეთის ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე გიორგი გაგლოვევი, ამიერკავკასიის სეიმის წევრი კირილე ნინიძე და ძველი რევოლუციონერი სანდრო კეცხოველი.<sup>29</sup>

საბოლოოდ მოლაპარაკებამ უშედეგოდ ჩაიარა. აჯანყებულებმა

26 ლევან თოიძე, როგორ შეიქმნა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, გვ.18-19.

27 З.Н. Ванеев И.В. Догужов, Из Истории борьбы трудящихся Юго-Осетии за Советскую власть, Сталинир,1957, Стр. 11.

28 Борьба трудящихся Юго-Осетии за Советскую власть 1917-1921 гг. Документы и Материалы, Стр. 24-25.

29 ლევან თოიძე, როგორ შეიქმნა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, გვ.23-25.



სანდრო კეცხოველი

ცხინვალის აილეს და დამარცხებული გვარდიელები ტყვედ აიყვანეს. მოკლეს გიორგი მაჩაბელი, სანდრო კეცხოველი და კოსტა ყაზიშვილი. დაასახიჩრეს და შეურაცხვევს გარდაცვლილთა გვამები, მაგალითად, სანდრო კეცხოველის ცხედარი ქუჩაში დააგდეს და ეტლით უვლიდნენ.<sup>30</sup>

ცხინვალის მოსახლეობის დიდი ნაწილი ქალაქიდან გაიხიზნა, აჯანყებულთა ბრბომ ქალაქი გაძარცვა. მაზრაში წესრიგის აღსადგენად რვა-სამდე გვარდიელი გაიგზავნა არტილერიითურთ. 22 მარტს გვარდიამ ქალაქი თითქმის უბრძოლველად დაიკავა.<sup>31</sup>

ცხინვალში შესვლის შემდეგ სისხლისღვრის თავიდან აცილების მიზნით გვარდიელთა მეთაურმა ვალიკო ჯუღელმა კეცხისკენ უკანდახეულ აჯანყებულებს პირობები წაუყენა: 1. დაუყოვნებლად ჩაებარებინათ იარაღი; 2. გადაეცათ აჯანყებაში დამნაშავე პირები; 3. გადაეცათ კოსტა ყაზიშვილის, სანდრო კეცხოველისა და გიორგი მაჩაბლის მკვლელები; 4. გაეთავისუფლებინათ ყველა დატყვევებული გვარდიელი; 5. მოეხდინათ აჯანყების ლიკვიდაცია; 6. ნაძარცვი დაებრუნებინათ ცხინვალში. აჯანყებულთა შტაბის პასუხი ცინიკური იყო: 1. იარაღს არ ჩავაბარებთ; 2. აჯანყებაში დამნაშავეები იყვნენ ყაზიშვილი კოსტა, მაჩაბელი გიორგი, კეცხოველი სანდრო. ისინი თქვენს განკარგულებაში არიან, რაც გინდათ, ის უყავით; 3. თქვენი ამხანაგების მკვლელები იყვნენ ტყვიები, მოძებნეთ ისინი ბრძოლის ველზე; 4. ტყვეებს გავათავისუფლებთ ჩვენებზე გაცვლით; 5. პოზიციებს მოვხსნით, როცა გვარდია უკან გაბრუნდება; 6. ძარცვით ჩვენ

30 გაზ. „ერთობა“, 1918 წლის 28 მარტი, N 71, გვ.3; გაზ. „საქართველო“ 1918 წლის 25 მარტი, N66, გვ.3.

31 შოთა ვადაჭკორია, ოსური სეპარატიზმი და ქართული სინამდვილე (1917-1925წწ), თბ., 2017, გვ. 23-25; გაზ. „ერთობა“, 1918 წლის 23 მარტი, N 67, გვ.2; გაზ. „ერთობა“, 1918 წლის 24 მარტი, N 68, გვ.1.

არაფერი გავვიძარცვავს, გლახთა ქონება გაძარცვით თქვენ და თქვენმა გვარდიამ და თქვენ უნდა დაგვიბრუნოთ ნაძარცვი.<sup>32</sup>

ასეთი პასუხის შემდეგ სამთავრობო ძალებმა რეგიონში წესრიგი რამდენიმე დღეში აღადგინეს. ვალიკო ჯუღელი მთავრობას სწერდა, რომ მოქმედებდნენ დიდი სიფრთხილით, რათა პროვოკაციის შემდეგ გაჩენილი უფსკრული კიდე უფრო არ გაღრმავებულიყო: „22 მარტს ჩვენმა წითელმა გვარდიამ ცხინვალის და მისი ახლო-მახლო ადგილები ხელში ჩაიგდო. მონინალმდეგემ ბრძოლა არ მიიღო და ჩვენს მისვლამდე მთებში გაიქცა... ჩვენმა არტილერიამ სოფლები დაზოგა და სოფლიდან გამოსულ მონინალმდეგეს ყუმბარები დაუშინა“.<sup>33</sup>

საბოლოოდ, 28 მარტს, ჯავასთან ახლოს მოხდა შეთანხმება მთავრობასა და აჯანყებულებს შორის საბრძოლო მოქმედებების შეწყვეტის, ტყვეთა გაცვლის, იარაღის ჩაბარებისა და დამნაშავეთა დასჯის შესახებ. საგამოძიებო კომისიამ დააპატიმრა 92 პირი, თუმცა აქედან მხოლოდ 12 გაამტყუნეს აჯანყებაში აქტიური მონაწილეობისათვის, 32 – ხელის შეწყობაში, ხოლო 48 უდანაშაულოდ ცნეს. იარაღის ჩაბარების შესახებ შეთანხმება კი არ შესრულდა. აჯანყებულებმა მთავრობას მხოლოდ ქვემეხები დაუბრუნეს, შაშხანები და ტყვიამფრქვევები კი – არა.<sup>34</sup> მოგვიანებით საბჭოთა ისტორიოგრაფია სამშვიდობო შეთანხმების აზრს იმაში ხედავდა, რომ აჯანყებულებმა ძალები დაზოგეს და ახალი ბრძოლებისთვის მოემზადნენ.<sup>35</sup> მართლაც, იმავე წელს ცხინვალის რეგიონიდან გადასული ბოლშევიკი ოსები საჩხერესა და დუშეთის მაზრაში მონყობილ კიდევ ორ აჯანყებაში მონაწილეობდნენ.<sup>36</sup> ამ ყველაფრის წინააღმდეგ სამთავრობო ძალების პასუხი საკმაოდ მსუბუქი გამოდგა, მათ

32 Борьба трудящихся Юго-Осетии за Советскую власть 1917-1921 гг., стр.35.

33 გაზ. „ერთობა“, 1918 წლის 24 მარტი, №68, გვ.1-2.

34 Б.З. Плиев, Борьба Трудящихся Южной Осетии за Советскую власть в 1917-1921гг, Цхинвали, 1977, стр.87-88; В.Д. Цховребов, Из истории Юго-Осетинской организации Кп Грузии (1917-1925 гг), Цхинвали, 1981, стр.64; Очерки Истории Юго-Осетии, Том I, Цхинвали, 1969, стр.247.

35 Б.З. Плиев, Борьба Трудящихся Южной Осетии за Советскую власть в 1917-1921гг., стр.88.

36 საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, (შემდეგში სუიკა). ფონდი 284. აღწერა 1, საქმე 150, ფურც. 143-144.



ქართველი არტილერისტები

სრულად ისევ არ განუიარაღებიათ მოსახლეობა.

1918 წლის აპრილში ამიერკავკასიის კომისარიატის ნაცვლად ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკა შეიქმნა, თუმცა გარე ფაქტორების ზემოქმედებით მან მხოლოდ ერთი თვე იარსება. 1918 წლის 26 მაისს საქართველომ ფედერაციის შემადგენლობა დატოვა და დამოუკიდებლობა გამოაცხადა. ორი დღის შემდეგ კი დამოუკიდებლობა სომხეთმა და აზერბაიჯანმაც გამოაცხადეს.

ცხინვალის რეგიონში 1918 წლის მარტში მიმდინარე ანტისახელმწიფოებრივი აჯანყება, ისევე, როგორც მთელი 1918 წლის განმავლობაში ლეჩხუმისა და დუშეთის მაზრებში, საჩხერესა თუ სამეგრელოში პერიოდული გლეხთა გამოსვლები, ბოლშევიკური პარტიის მიერ იყო ორგანიზებული და ძალაუფლების ხელში ჩაგდებას ისახავდა მიზნად. ამ აჯანყებაში ჩაბმული ქართველი და ოსი ბოლშევიკები თუ მათ დაპირებებს აყოლილი უპარტიო ადამიანები მოსახლეობის დიდ უმცირესობას წარმოადგენდნენ, თუმცა – შეიარაღებულს. შეიძლება ითქვას, რომ ეს აჯანყებები სოციალურ-



პოლიტიკური ხასიათის იყო, მაგრამ ახალგაზრდა ქართული სახელმწიფო მანც უმკლავდებოდა მათ: ერთი მხრივ, ის ახერხებდა სახელმწიფოს დაცვას, ხოლო, მეორე მხრივ, რამდენადაც შესაძლებელი იყო ტაქტიკა და სიფრთხილით ეკიდებოდა აჯანყებულებთან ურთიერთობას.

საერთოდ, ბოლშევიკებმა დიდი გავლენა მოიპოვეს შიდა ქართლის მთიან ნაწილში. რუსეთის კომუნისტური პარტიის კავკასიის სამხარეო კომიტეტმა ქართლის ოსებით დასახლებულ მთიან ნაწილში ფილიპე მახარაძე, მიხა ცხაკაია და სხვა გავლენიანი ბოლშევიკები მიავლინა. ისინი ადგილობრივ ბოლშევიკებთან ერთად ნიადაგს ამზადებდნენ საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ ბრძოლის დასაწყებად და ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად.<sup>37</sup>

1918-1919 წლებში ჯავის, როკისა და ოსებით დასახლებული ქართლის მთიან ნაწილში საქართველოს რესპუბლიკის მმართველობა მცირედ თუ ვრცელდებოდა. ბოლშევიკებმა ჯავაში ჩამალეს საერობო (ადგილობრივი თვითმმართველობის) და დამფუძნებელი კრების არჩევნებიც კი, მაშინ, როდესაც გორის მაზრის სხვა ადგილებში, მათ შორის ცხინვალის რაიონში და ოსებითა თუ შერეული ქართულ-ოსური მოსახლეობით დასახლებულ სოფლებში, ორივე არჩევნები დემოკრატიულად ჩატარდა. გორის მაზრაში სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ საერობო არჩევნებში მიიღო ხმების 93 პროცენტი (აქტივობა 50.56%), ხოლო დამფუძნებელი კრების არჩევნებში – 96 პროცენტი (აქტივობა 81%).<sup>38</sup>

რესპუბლიკა ცდილობდა შიდა ქართლის მთის ოსური მოსახლეობა არ გაეღიზიანებინა და პრობლემა დემოკრატიულად მოეგვარებინა. ამავე დროს, კომპარტიის კავკასიის სამხარეო კომიტეტი მოსახლეობას იდეოლოგიურად ამუშავებდა, აიარალებდა და სუვერენული სახელმწიფოს წინააღმდეგ ბრძოლისთვის ამზადებდა.

საქართველოს სახელმწიფო დამოუკიდებლობის აქტით აცხადებდა, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა განვითარების თავისუფალ ასპარეზს გაუხსნიდა თავის ტერიტორიაზე მოსახლე

37 ბ. პლიევი, სამხრეთ ოსეთის ბოლშევიკური ორგანიზაციის საბრძოლო გზა, თბ., 1978, გვ.11-13.

38 ირაკლი ხვადაგიანი, თვითმმართველობის რეფორმა საქართველოს რესპუბლიკაში 1918, ტომი I., თბ., 2017, გვ.166-167; <http://firstrepublic.ge/ka/theme/66> 17.10.2021.



სამხრეთ ოსეთის ბოლშევიკების პირველი იატაკქვეშა საოკრუგო (საოლქო) კომიტეტი  
1919 წელი

დგანან: გაგლოევი სერგეი, აბაევი ალექსანდრე

სხედან: პლიევი არონი, ჯატიევი ალექსანდრე, სანაკოევი ვლადიმერი

ყველა ერს. მაგრამ ეს არ ნიშნავდა, რომ რომელიმე ერს ან ეთნოსს უფლება ჰქონდა საქართველოს ტერიტორიის ერთი ნაწილი მისთვის ჩამოეშორებინა და სხვა სახელმწიფოსთვის მიეერთებინა. ბოლშევიკების ანტისახელმწიფოებრივი საქმიანობის მიუხედავად, საქართველოს მთავრობასა და ოსეთის ეროვნულ საბჭოს შორის 1918-1919 წლებში მიმდინარეობდა პროექტების განხილვა და დისკუსია იმ თემაზე, თუ რა ტიპის თვითმმართველობა ან ავტონომია შეიძლება მიეღოთ საქართველოში მცხოვრებ ოსებს. პროექტები მერყეობდა ავტონომიურ კანტონსა და ცალკეულ მაზრას შორის, მაგრამ 1919 წლის ოქტომბრის ბოლოს ახალმა აჯანყებამ პროექტების საკითხის უარყოფითად გადაწყვეტას შეუწყო ხელი.<sup>39</sup> მიუხედავად ამისა, არავინ უარყოფდა ადგილობრივი ეთნიკური უმცირესობის კულტურულ და ეროვნულ უფლებებს. ეჭვქვეშ არ დამდგარა ეროვნული უმცირესობების ენაზე სკოლებში სწავლებისა და კულტურული თუ საზოგადოებრივი ორგანიზაციების ჩამოყალიბების უფლება. თუ ერობაში რომელიმე ეროვნული უმცირესობა მოსახლეობის 20 პროცენტს აღემატებოდა, მას შეეძლო მოეთხოვა სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებებში სახელმწიფო ენასთან ერთად მშობლიურ ენაზე საქმისწარმოება. საბოლოოდ ეს უფლებები კონსტიტუციაშიც აისახა.<sup>40</sup> საქართველოს ეროვნულ საბჭოსა და მოგვიანებით დამფუძნებელ კრებაში იყო რამდენიმე ოსი დეპუტატი.<sup>41</sup> ოსებით დასახლებულ ადგილებში უმეტესწილად ადმინისტრაციულ თანამდებობებზე ოსები ინიშნებოდნენ. მაგალითად, „მთა-ოსეთის“ კომისარი იყო ხარიტონ გასიევი, ცხინვალის რაიონის მილიციის უფროსი კი – სარდიონ ხარებოვი.<sup>42</sup> ქვეყანაში

39 ლევან თოიძე, როგორ შეიქმნა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, თბ.1990. გვ.31-32; შოთა ვადაჭკორია, ოსური სეპარატიზმი და ქართული სინამდვილე (1917-1925წწ), თბ. 2017 გვ.112-146.

40 საქართველოს კონსტიტუცია, მიღებულია დამფუძნებელი კრების მიერ 1921 წლის 21 თებერვალს, ბათუმი, 1921, გვ.36-37.

41 სტივენ ჯონსი, დემოკრატიის ფორმირება საქართველოში 1918-1921, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გახსენება ასი წლის შემდეგ – მოდელი ევროპისთვის?, საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმის მასალები, თბ., 2018, გვ. 41, 47; ოთარ ჯანელიძე, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორიის ნარკვევები, თბ. 2018, გვ.181.

42 საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი (შემდეგში სცსა), ფონდი 1863,

ფუნქციონირებდა 48 ოსური სკოლა.<sup>43</sup>

1918 წლის დეკემბერში ბოლშევიკები უმრავლესობაში მოექცნენ ოსეთის ახალ ეროვნულ საბჭოში. ფაქტობრივად ისინი არ ცნობდნენ საქართველოს ხელისუფლებას, უგულვებელყოფდნენ მის კანონებს, ჩაშალეს არჩევნები ჯავის მთიან ზოლში. ამის საპირისპიროდ 1919 წლის 26 თებერვალს თბილისელ ოს მუშათა კრებაზე, რომელსაც 100-მდე კაცი დაესწრო, დაადგინეს: „შეიქმნას მტკიცე კავშირი სოფელთან და გამოუცხადოს სასტიკი ბრძოლა ოსების კონტრრევოლუციურ შავბნელ ძალებს, რომელნიც ცდილობენ ჩაითრიონ ოსეთის მშრომელი ხალხი ჩრდილოეთ ოსეთის ავანტურაში, ნაციონალურ და სამოქალაქო ომში“.<sup>44</sup> ცოტა ადრე კი საკანონმდებლო ორგანოს ეროვნებით ოსი დეპუტატი ალექსანდრე ფარნიევი გაზეთ „ერთობაში“ წერდა: „ოსების გალობა გაიგო ქართველმა გლეხობამ. მან გაიგო, რომ ოსებს შიათ, მან არ დაუწყო კითხვა: ვინ ხარ, საიდან ჩამოფრენილხარ, რა ენაზე გალობ. და დღემდის ძმურად იცხოვრეს. ... მე ვფიქრობ ისინი, ვინც ოსების დამოუკიდებელ სახელმწიფოს შექმნაზე ოცნებობენ, მათ ან არაფერი გაეგებათ ქვეყნიერების აკვარგისა ან და განგებ სურთ შეატაკონ ქართველი და ოსის დემოკრატია ერთმანეთს და დაღუპონ ის, რაც ხალხმა მოიპოვა“.<sup>45</sup> ოსეთის ბოლშევიკური ეროვნული საბჭო 1918 წლის დეკემბრიდან ფაქტობრივად არ ემორჩილებოდა ცენტრალურ ხელისუფლებას, ამიტომ 1919 წლის მაისში ცენტრალურმა ხელისუფლებამ დაშალა ეს საბჭო.<sup>46</sup> საბჭოს წევრი ბოლშევიკები მთებში გაიხიზნენ და ცდილობდნენ მთისა და ბარის ოსების აჯანყებას. ისინი ბარის ოსებს ატყუებდნენ, თითქოს ჯავაში მათი მხარდამჭერი სამი ოსური პოლკი იდგა. ბარის ოსები პროვოკაციას არ წამოჰკვებიან და თავიანთი პოზიცია ასე ჩამოაყალიბეს: „ისინი არეგ-დარევენ საქმეებს და შემდეგ მთებში მიიმალებიან. ყოველგვარი ვაი-ვაგლახი და მთავრობის რისხვა ჩვენ უნდა გადაგვხდეს თავს და მერე რისთვის, ჩვენ ქართველებთან რა გვაქვს საჩხუბარი, მათთან ვცხოვრობთ

---

აღწერა 1, საქმე 1376, ფურც.5.

43 სესა, ფონდი 1935, აღწერა 1, საქმე 917, ფურც. 1.

44 გამ. „ერთობა“, 1919 წლის 1 მარტი, N 48, გვ.4.

45 გამ. „ერთობა“, 1918 წლის 11 ივნისი, N119, გვ.2-3.

46 ლევან თოიძე, როგორ შეიქმნა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, გვ.30-31.

ძმურად და კვლავ ასე ვიცხოვრებთ. ჯაველები კი, ვისთანაც უნდათ, იმათთან წავიდნენ”.<sup>47</sup> ოსების ახალი ყრილობის მიერ არჩეულმა საბჭომ გააგრძელა თანამშრომლობა ცენტრალურ ხელისუფლებასთან, ხოლო ბოლშევიკებმა – იატაკქვეშა საქმიანობა.

1919 წლის გაზაფხულზე რუსეთის სამოქალაქო ომში უპირატესობა თეთრების<sup>48</sup> მხარემ მოიპოვა. ანტონ დენიკინის<sup>49</sup> ჯარებმა ჩრდილო კავკასია დაიკავეს და მოსკოვისაკენ მარში დაიწყეს. ამის გამო რუსეთის კომპარტიის კავკასიის სამხარეო კომიტეტმა ფარულად ვლადიკავკაზიდან საქართველოში გადმოინაცვლა და იატაკქვეშა საქმიანობა თბილისში განაგრძო. შემოდგომაზე, ოქტომბრის რევოლუციის ორი წლისთავზე, კომიტეტმა საქართველოში ბოლშევიკური აჯანყების მოწყობა გადაწყვიტა, მაგრამ ქართულმა სპეცსამსახურებმა აჯანყების დაწყებამდე ორი დღით ადრე მოთავეების დაკავება მოახერხა.<sup>50</sup> აჯანყება გადაიდო, თუმცა ამის შესახებ ბოლშევიკებმა რეგიონებს ინფორმაცია ვერ მიანოდეს. მცირე მასშტაბის ამბოხი მოხდა გურიაში, ლაგოდესსა და სამტრედიისში. ანტისახელმწიფოებრივი გამოსვლები დაიწყო როკის ოსურ სასოფლო საზოგადოებაში, რომელიც შიდა ქართლის სოფლების ნაწილსაც მოედო.

გეგმის თანახმად, ოსურ რაზმს უნდა დაეკავებინა ქალაქი გორი. პირველ ბრძოლებში მათ მთავრობის ადმინისტრაცია და მილიცია ტყვედ აიყვანეს, მაგრამ მალევე სამთავრობო ძალებმა მარტივად მოახერხეს მათი უკუგდება. ბარის ზონაში აჯანყებულების დამარცხების შემდეგ სამთავრობო ძალებმა თითქმის უბრძოლველად დაიკავეს ჯავა და როკი.<sup>51</sup> აჯანყების მეთაურები ჩრდილო კავკასიაში გადავიდნენ, რათა შემდეგ

47 გაზ. „ერთობა“, 1919 წელი 5 ივნისი, N 122, გვ.3.

48 თეთრი მოძრაობა – რუსეთის სამოქალაქო ომის დროს ჩამოყალიბებული სამხედრო-პოლიტიკური მოძრაობა, რომელიც საბჭოთა ხელისუფლებას უპირისპირდებოდა.

49 ანტონ დენიკინი (1872-1947) – რუსეთის სამოქალაქო ომის დროს თეთრი მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი და სამხრეთ რუსეთის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი.

50 გ. ხაჭაპურიძე, ქართველი ხალხის ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის, თბ., 1957, გვ. 238-241.

51 გ. ხაჭაპურიძე, ქართველი ხალხის ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის, გვ. 241-242; სესა, ფონდი 1970, აღწერა 1, საქმე 7, ფურც.3-8; ბ. პლივიე. სამხრეთ ოსეთის ბოლშევიკური ორგანიზაციის საბრძოლო გზა, გვ.18-19; В.Д. Цховребов, Из истории Юго-Осетинской организации Кп Грузии (1917-1925 гг), стр. 96-99.

თავიდან დაეწყო ბრძოლა საქართველოს წინააღმდეგ.<sup>52</sup> სამთავრობო ძალებმა მოსახლეობის განიარაღება დაიწყეს და გორის მაზრაში სხვადასხვა სისტემის 5000-ზე მეტი საბრძოლო საშუალება ამოიღეს;<sup>53</sup> თუმცა აჯანყების ერთ-ერთი ლიდერი, ბოლშევიკი ციკვა აბავეი იხსენებდა, რომ ჯავასა და როკის საზოგადოებაში სამთავრობო ძალებმა ცოტა იარაღი ამოიღეს, რადგან ოსებმა იარაღის დიდი ნაწილის გადამალვა მოახერხეს. ბოლშევიკთა მეორე ლიდერის, მათე სანაკოვეის, ინფორმაციით, მათ უვარგისი იარაღი ჩააბარეს მთავრობას და ვარგისი კი შეინახეს.<sup>54</sup>

გორის მაზრაში ანტისახელმწიფოებრივი აჯანყების ჩახშობის პროცესში სამხედრო-საველე სასამართლომ 300 ადამიანი გაასამართლა. სასამართლოს გადაწყვეტილებით, დახვრიტეს 9 პირი (მათ შორის აჯანყების ერთ-ერთი ლიდერი ზნაურ აიდაროვი. მოგვიანებით, საბჭოთა პერიოდში, მისი სახელი უწოდეს ყორნისის რაიონს), 28 კაცს მიუსაჯეს კატორღა, ხოლო 35-ს ადმინისტრაციული წესით – პატიმრობა.<sup>55</sup> საველე შტაბის ცნობით, აჯანყების ჩაქრობისას მოხდა მცირე გადაცდომები: კერძოდ, გვარდიის კახეთის ბატალიონის ჯარისკაცთა ერთი ჯგუფი ადგილობრივ მოსახლეობას შინაურ ფრინველსა და წვრილფეხა პირუტყვს პარავდა. საქმის გამოსაძიებლად შეიქმნა სპეციალური კომისია.<sup>56</sup>

1920 წლის იანვარში, სიტუაციის მონესრიგების შემდეგ, გვარდიამ შიდა ქართლის მთიანი ზოლი დატოვა. ხეობებში მხოლოდ ადმინისტრაცია და მცირე რაოდენობის მილიციელი დარჩა.

1919 წლის მიწურულსა და 1920 წლის დასაწყისში რუსეთის სამოქალაქო ომში თეთრების შეტევას წითლების<sup>57</sup> კონტრშეტევა მოჰყვა. ბოლშევიკებმა დენიკინის მოსკოვზე ლაშქრობა შეაჩერეს, უკუაგდეს ის და 1920 წლის მარტში ჩრდილო კავკასიაც სრულიად დაიკავეს. 1920 წლის 2

52 В.Д. Цховребов, Из истории Юго-Осетинской организации Кп Грузии (1917-1925 гг), стр.99.

53 სქსა, ფონდი 1970, აღწერა 1, საქმე 7, ფურც. 9.

54 Известия Юго-Осетинского научно-исследовательского института краеведения; . Стр. 68-69; 94.

55 სქსა, ფონდი 1970, აღწერა 1, საქმე 7, ფურც. 6.

56 სქსა, ფონდი 1970, აღწერა 1, საქმე 7, ფურც. 8.

57 წითლები – რუსეთის სამოქალაქო ომის დროს გამოიყენებოდა საბჭოთა ძალების სინონიმად.





1919 წლის შემოდგომა - ბოლშევიკური აჯანყების სამზადისი, სიღანდის მამრა, სოფელი ანაგა



იანვარს საბჭოთა რუსეთის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა გიორგი ჩიჩერინმა მუქარანარევი რადიოდეჰემა გამოუგზავნა საქართველოს – სანამ დროა ჩაებით დენიკინთან ბრძოლაში და შექმენით ჩვენთან სამხედრო კავშირიო. საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ევგენი გეგეჭკორი 12 იანვარს საპასუხო რადიოდეჰემაში წერდა, მიუხედავად იმისა, რომ წინა წელს საქართველოს რამდენჯერმე მოუხდა დენიკინის ჯარებისგან საქართველოს მთლიანობის დაცვა, საქართველო ვერ ჩაერეოდა მეზობელი სახელმწიფოს შიდა სამოქალაქო ომში და ქართველების სისხლს რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ ვერ დაღვრიდა. ამასთანავე გეგეჭკორი მშვიდობიანი და კეთილმეზობლური ურთიერთობის სურვილს გამოთქვამდა.<sup>58</sup> ამის პასუხად 1920 წლის 13 და 20 იანვარს რუსეთის კომუნისტური პარტიის კავკასიის სამხარეო კომიტეტმა გაავრცელა ორი პროკლამაცია, რომლებშიც საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის მუშებს, გლეხებსა და ჯარისკაცებს აჯანყებისკენ მოუწოდა.<sup>59</sup>

2 თებერვალს კი თავად ვლადიმერ ლენინი რუსეთის ცაკისა<sup>60</sup> და სახკომსაბჭოს<sup>61</sup> შესახებ წაკითხულ მოხსენებაში აღნიშნავდა: „საქართველოს და აზერბაიჯანის მთავრობებს წინადადება მიეცათ მიეღწიათ შეთანხმებისთვის დენიკინის წინააღმდეგ. მათ უარი თქვეს იმ მიზეზით, რომ არ ჩაერევიან უცხო სახელმწიფოთა საქმეებში. ვნახოთ, როგორ შეხედავენ ამას საქართველოს და აზერბაიჯანის მუშები და გლეხები“.<sup>62</sup> ეს უკვე მუქარა იყო, რომლის საქმედ ქცევაზე ბოლშევიკები კარგა ხანია მუშაობდნენ.

1920 წლის 17 მარტს ლენინმა კავკასიის ფრონტის რევოლუციური სამხედრო საბჭოს წევრებს – სმილგასა და ორჯონიკიძეს – შემდეგი ტელეგრამა გაუგზავნა: „ბაქოს აღება ჩვენთვის უაღრესად, უაღრესად საჭიროა. მთელი ღონისძიებანი აქეთ წარმართეთ, ამასთანავე საჭიროა განცხადებებში უაღრესი დიპლომატიურობა გამოიჩინოთ და მაქსიმალურად მიაღწიოთ მტკიცე ადგილობრივი საბჭოთა ხელისუფლების შემზადებას.

58 სცსა, ფონდი 1864, აღწერა 2, საქმე.242, ფურც.3-5.

59 Борьба за Победу Советской власти в Грузии. Документы и материалы 1917-192., Тбилиси 1958, стр.530-533.

60 კომუნისტური პარტიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი.

61 სახალხო კომისართა საბჭო.

62 В. И. Ленин, Сочинения. Издание четвертое, Том 30, Москва, 1950, стр.301.



საბჭოთა რუსეთის სავარელო საქმეთა სახალხო კომისარი ვიორგი ჩიჩგორინი

იგივე ეხება საქართველოს, თუმცა გირჩევთ, მას კიდევ უფრო ფრთხილად მოეკიდოთ. ჯარების გადაყვანაზე შეუთანხმდით მთავარსარდალს”.<sup>63</sup> სამი დღის შემდეგ, 20 მარტს, წითელი არმიის სარდლობამ ლენინს მოხსენებითი ბარათი წარუდგინა, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ კავკასიის ფრონტიდან 6 დივიზია უნდა გადაესროლათ პოლონეთის წინააღმდეგ. დარჩენილი სამხედრო ნაწილები კი არ იყო სრულად დაკომპლექტებული, და თუ საქართველო და აზერბაიჯანი მოემზადებოდნენ თავდაცვისთვის, პირველ ეტაპზე შესაძლოა წითელი არმიის შეტევა წარუმატებელი ყოფილიყო. წითელი არმიის მთავარსარდალი სერგეი კამენევი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა საკუთრივ ამ რესპუბლიკებში გაშლილ რევოლუციურ მოძრაობას, რაც, მისი აზრით, ხელს შეუწყობდა წითელი არმიის შეტევას. 22 მარტს გაიცა ბაქოს დაკავების დირექტივა, რომელიც პირველ აპრილს კიდევ უფრო დაზუსტდა. დირექტივაში ისიც აღნიშნული იყო, რომ საქართველოსთან ურთიერთობა ჯერ კიდევ გაურკვეველი რჩებოდა და იმ ეტაპზე კავკასიის ფრონტი მხოლოდ საქართველოზე დაკვირვებით უნდა შემოფარგლულიყო.<sup>64</sup>

ამის პარალელურად 23 მარტს ვლადიკავკაზში რუსეთის კომუნისტური პარტიის კავკასიის სამხარეო კომიტეტის სხდომაზე მიიღეს გადაწყვეტილება სამხრეთ ოსეთის რევოლუციური კომიტეტის ჩამოყალიბების, შეიარაღებული რაზმის შექმნისა და საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადების შესახებ. ამ ამოცანის შესასრულებლად რევკომს გამოეყო 100 000 რუბლი.<sup>65</sup> ოსი ბოლშევიკის, ჩერმენ ბევიზოვის მოგონების მიხედვით, მარტის შუა რიცხვებში სამხრეთ ოსეთის თითქმის ყველა ბოლშევიკური ორგანიზაცია აჯანყების მოსამზადებლად და შეიარაღების მისაღებად ჩრდილო ოსეთში გადავიდა. ადგილზე დარჩა მხოლოდ როკის რაიონის პარტორგანიზაცია, რათა როკის უღლეთებილი ეკონტროლებინა.<sup>66</sup> მეორე ოსი ბოლშევიკი, ვასილ სანაკოევი, იხსენებდა, რომ 1920 წლის მარტში, როდესაც წითელი

63 Директивы главного командования Краной Армии (1917-1920), Сборник Документов, Москва 1969, стр. 732.

64 Директивы главного командования Краной Армии (1917-1920), стр. 733-735.

65 Борьба трудящихся Юго-Осетии за Советскую власть 1917-1921 гг, Стр. 74.

66 Воспоминания участников гражданской войны В Юго-Осетии 1917-1921 гг, Сталинир, 1957, Стр.114.

არმია ვლადიკავკაზს მიუახლოვდა, იგი ლადი სანაკოევთან და სხვა 400-მდე ამხანაგთან ერთად ზეკარის უღელტეხილით ჩრდილო ოსეთში გადავიდა, რათა შეიარაღებულიყვნენ და შემდეგ უკან დაბრუნებულიყვნენ „მენშევიკებთან“ საომრად.<sup>67</sup> ამავ ემბავს იხსენებდა რუსეთის კომპარტიის სამხრეთ-ოსეთის საოლქო კომიტეტის წევრი რაზდენ კობაევიც. იგი წერდა, რომ მარტში ჩრდილოეთ კავკასიაში ლადი სანაკოევის მეთაურობით გადავიდა 400 სამხრეთელი ოსი, რომლებიც უნდა შეეიარაღებინათ და წითელ არმიასთან ერთად უკან გამოეშვათ მენშევიკური საქართველოსთვის გამანადგურებელი დარტყმის მისაყენებლად. მისი თქმით, იგივე მიზანი ჰქონდა მარტში სამხრეთიდან ჩრდილოეთში გადასულ მეორე 200-კაციან რაზმსაც, რომელსაც არსენ ძუცოვიც მეთაურობდა.<sup>68</sup> მსგავსი ინფორმაცია შემონახულია ეფიმ ცხოვრებოვის, სიმონ შავლობოვის, გეგა ჯიოევისა და სხვათა მოგონებებშიც.<sup>69</sup>

3 აპრილს კი რუსეთის კომუნისტური პარტიის კავკასიის სამხარეო კომიტეტმა ახალი პროკლამაცია გაავრცელა საქართველოში. ბოლშევიკები საქართველოს მოსახლეობას აცნობდნენ, რომ წითელი არმია საქართველოს საზღვარს მოადგა, „საქართველოს განთავისუფლება“ დღეების საქმე იყო და საქართველოს მოსახლეობას აჯანყებისა და მთავრობის დამხობისკენ მოუწოდებდნენ.<sup>70</sup> ამის პარალელურად დიპლომატიურ მიმონერაში რუსეთის საგარეო საქმეთა კომისარი ჩიჩერინი თავს იკატუნებდა და თავის ქართველ კოლეგას, ევგენი გეგეჯკორს, უმტკიცებდა, რომ საბჭოთა რუსეთი არ აპირებდა საქართველოსთან ომს და მის საზღვრებში შეჭრას.<sup>71</sup> ჩიჩერინის მტკიცების მიუხედავად, საქართველოს მთავრობა ხვდებოდა, რომ ოკუპაციის ზღვარზე იმყოფებოდა, ამიტომ, ერთი მხრივ, სთხოვდა დასავლურ სახელმწიფოებს ქვეყნის დამოუკიდებლობის დასაცავად იარაღით დახმარებას, მეორე მხრივ, რუსეთთან მოლა-

67 Воспоминания участников гражданской войны в Юго-Осетии 1917-1921 гг., Стр. 175.

68 Воспоминания участников гражданской войны в Юго-Осетии 1917-1921 гг., Стр.50.

69 Воспоминания участников гражданской войны в Юго-Осетии 1917-1921 гг.,Стр. 206; 218; 203.

70 Борьба за Победу Советской власти в Грузии. Документы и материалы 1917-1921, Тбилиси 1958, стр..553-554.

71 სკსა, ფონდი 1864, აღწერა 2, საქმე 242, ფურც.11-12.


პარაკებების გასამართავად თავისი სპეციალური წარმომადგენელი, გრიგოლ ურატაძე, გააგზავნა. მოსკოვისკენ მიმავალი ურატაძე როსტოვში შეაჩერა სერგო ორჯონიკიძემ. 15 აპრილს ლენინმა ორჯონიკიძეს მისწერა, რომ მთავრობა საქართველოს წარმომადგენლის მოსკოვში ჩასვლის წინააღმდეგი არ იყო, მაგრამ, ამავე დროს, ეთანხმებოდა ორჯონიკიძეს, რომ არ ღირდა ურატაძის მოსკოვში გამგზავრების დაჩქარება, ამიტომ გამგზავრების დღის განსაზღვრას მას ანდობდა. ორჯონიკიძე კი არ ჩქარობდა. ერთ დღესაც ურატაძემ ორჯონიკიძის ფრონტზე ყოფნით ისარგებლა და წითელი არმიის ერთ-ერთი სამხედრო-პოლიტიკური მეთაურის დახმარებით მოსკოვისკენ გაემგზავრა. ორჯონიკიძემ კი ლენინს მისწერა, ურატაძესთან ზავის დადების საკითხში არ აჩქარებულებოდა.<sup>72</sup>

მოვლენები მოსკოვის დანერჩილი სცენარით ვითარდებოდა. რუსეთის მე-11 არმია აზერბაიჯანში შესაჭრელად ემზადებოდა, ვლადიკავკაზში ოს ბოლშევიკებს ამზადებდნენ საქართველოს წინააღმდეგ საომრად და ქვეყნის მოსახლეობას აჯანყებისკენ მოუწოდებდნენ, მოსკოვი კი ყურადღებით აკვირდებოდა მოვლენების განვითარებას.

27 აპრილს რუსეთის მე-11 არმია აზერბაიჯანში შეიჭრა. პარალელურად ბაქოში მთავრობას იარაღით დაუპირისპირდნენ ადგილობრივი ბოლშევიკები და მე-11 არმიის დედაქალაქში შესვლამდე ორი საათით ადრე პარლამენტი აიძულეს ძალაუფლება რევკომისთვის გადაეცა. 28 აპრილს, დილის 4 საათზე, ბაქოში რუსული წითელი არმიაც შევიდა. იმავე დღეს ორჯონიკიძემ ლენინს ბაქოდან მისწერა, რომ ურატაძესთან მოლაპარაკებებში არ აჩქარებულებოდა. აზერბაიჯანში კი საქართველოს დიპლომატიური მისია დააპატიმრეს.<sup>73</sup> 29 აპრილს საქართველოს მთავრობის თავმჯდომარეს, სამხედრო მინისტრსა და გვარდიის შტაბს

72 ოთარ ჯანელიძე, 26 მაისიდან 25 თებერვლისკენ, თბ., 1990, გვ.29-32; გრიგოლ ურატაძის ინტერვიუ 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების გაფორმების შესახებ, რადიო „თავისუფლების“ ქართული რედაქციის არქივი, ქართული ემიგრაციის მუზეუმი, Public Archive emigration Museum audio archive of radio liberty audio 001 F stereo 06-05 2018 Vo2, აღებულია საიტიდან – <http://archive.ge/ka/audio/9> 9.10.2021.

73 А. Б. Кадишев, Интервенция и Гражданская война В Закавказье, Москва 1960, стр. 256; ოთარ ჯანელიძე, 26 მაისიდან 25 თებერვლისკენ, გვ.31; სცსა, ფონდი 1864, აღწერა 2, საქმე 240, ფურც.4.



რუსეთის მე-11 წითელი არმიის ჯაგმანმატარებელი ბაქოში

გორიდან საიდუმლო შეტყობინება მიუვიდათ: „ეხლა მივიღეთ სასწრაფო ცნობა, როკაში გადმოუტანიათ სამთო არტილერია, ადგილობრივი მცხოვრებლები თანდათან უერთდებიან“.<sup>74</sup> 29 აპრილს ევგენი გეგეჭკორმა ჩიჩერინს გაუგზავნა ნოტა, რომელშიც ორივე ფაქტი გააპროტესტა.<sup>75</sup> იმავე დღეს როკის საზოგადოების ბოლშევიკებმა, შეიპყრეს ადგილობრივი კომისარი და ადმინისტრაცია.<sup>76</sup>

29 აპრილს დაიწყო საქართველოს შეიარაღებული ძალების ნაწილობრივი მობილიზაცია. ბაქოს აღების შემდეგ მე-11 არმიის 32-ე დივიზია განჯაში შევიდა. მასის დასაწყისში კი წითელი არმიის მენჩინავე ნაწილებმა საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარზე, წითელ ხიდთან, განლაგებულ ქართულ ბატალიონზე იერიში მიიტანეს და რამდენიმე

74 სცსა, ფონდი 1970, აღწერა 3, საქმე 17, ფურც. 77.

75 სცსა, ფონდი 1864, აღწერა 2, საქმე 240, ფურც.4.

76 Борьба трудящихся Юго-Осетии за Советскую власть 1917-1921 гг., Документы и Материалы, Стр.75-77; В.Д. Цховребов, Из истории Юго-Осетинской организации Кп Грузии (1917-1925 гг.), Стр.101.

ვერსით<sup>77</sup> შეიჭრნენ საქართველოს საზღვრებში.<sup>78</sup> 2 მაისის ღამეს თბილისში ადგილობრივი ბოლშევიკების ჯგუფი თავს დაესხა სამხედრო სკოლას, მაგრამ იუნკრებმა და ნაცვალთა სკოლის კურსანტებმა მათი თავდასხმა მოიგერიეს.<sup>79</sup> ეს იყო უკვე საქართველოს წინააღმდეგ ომი, რომელშიც მონაწილეობდნენ რუსეთის წითელი არმია და მის მიერ შეიარაღებული ქვეყნის შიგნით მოქმედი ბოლშევიკები. 3 მაისს ლენინმა ორჯონიკიძეს მოსთხოვა სასწრაფოდ ეცნობებინა ის მოტივები, რომელთა საფუძველზეც ურატაძესთან მოლაპარაკებების განვლვას ურჩევდა. პირველი დღეების წარმატებით გახარებულმა კავკასიის ფრონტის სამხედრო საბჭოს წევრმა ორჯონიკიძემ რადიოდეპეშით უპასუხა ლენინსა და სტალინს: „ყველაფერი გათვალისწინებულია და სრულდება, მოვლენები ისე ვითარდება რომ იმედი გვაქვს, რომ არა უგვიანეს 15-სა ვიქნებით თბილისში“, 4 მაისს კი კიდევ უფრო იმედინამა მოსკოვს აცნობა, რომ 12 მაისს თბილისში იქნებოდა.<sup>80</sup> იმავე დღეს ორჯონიკიძის მოლოდინს ცივი წყალი გადაასხეს, დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა, ლორდმა ჯორჯ კერზონმა, მოსკოვს ნოტა გაუგზავნა და ყირიმსა და კავკასიაში საომარი მოქმედებების შეჩერება მოსთხოვა. კრემლი იძულებული გახდა თანხმობა განეცხადებინა.<sup>81</sup> ლენინის გადაწყვეტილებაზე დიდი გავლენა იქონია იმ ფაქტმა, რომ პოლონურმა არმიამ და უკრაინის სახალხო რესპუბლიკის ჯარებმა უკრაინაში საბჭოთა ჯარები დაამარცხეს და წითლებს დასავლეთის ფრონტზე კავკასიიდან ზოგიერთი დივიზიის გადასროლა მოუწიათ. იმავედროულად ქართულმა ჯარმა შეაჩერა წითლების წინსვლა და უკუაგლო მონინააღმდეგე. 4 მაისს რუსეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ განიხილა საქართველოს

77 ძველი რუსული სიგრძის საზომი ერთეული. 1 ვერსი უდრის 1.06 კილომეტრს.

78 მიხეილ ბახტაძე, საქართველოს ოკუპაციის პირველი მცდელობა 1920 წელს (სამხედრო მოქმედებების მიმოხილვა), საერთაშორისო კონფერენციის, „არქივთმცოდნეობა, წყაროთმცოდნეობა – ტენდენციები და გამოწვევები“ მასალები, თბ., 2017. გვ. 367-368.

79 ალექსანდრე ჩხეიძე, სამხედრო სკოლა, აურნალი „მხედარი“, N13, პარიზი, 1933, გვ.13-20.

80 გრიგოლ ფვანია, როგორ მზადდებოდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაცია (დოკუმენტები), თბ., 1992, გვ. 37-38.

81 Директивы Командования фронтов Красной Армии (1917-1922гг), Сборник Документов в 4 томах, Том III, Москва, 1974, стр. 147; 742.

საკითხი და ორჯონიკიძეს ცენტრალური კომიტეტის სახელით დაავალა თავი შეეკავებინა საქართველოზე შეტევისგან.<sup>82</sup> ორჯონიკიძე საბრძოლო მოქმედებებს არ წყვეტდა და ცდილობდა მოსკოვისთვის შეტევის შეჩერება გადაეფიქრებინა. 6 მაისს რუსეთის კომუნისტური პარტიის კავკასიის სამხარეო კომიტეტის დირექტივით, სამხრეთ ოსეთის რევკომმა ჯერჯერობით მხოლოდ როკის რაიონში საბჭოთა ხელისუფლება და საბჭოთა რუსეთთან შეერთება გამოაცხადა.<sup>83</sup> ეს საქართველოს რესპუბლიკის სუვერენიტეტის დარღვევა იყო, თან იმ დროს, როდესაც სახელმწიფო თავდაცვით ომში იყო ჩართული. მიუხედავად ამისა, საქართველოს მთავრობამ სცადა პრობლემა მშვიდობიანად მოეგვარებინა. ოს ბოლშევიკთა ერთ-ერთი ლიდერის, ალექსანდრე (ტოტო) გაგლოვევის, მოგონების თანახმად, მთავრობის მიერ მშვიდობიან მოლაპარაკებებზე გამოგზავნილ ტოტო ცხურბაევსა და სხვებს მოლაპარაკებებზე უარი განუცხადეს და უთხრეს, რომ ისინი ანარმობდნენ რევოლუციურ ბრძოლას არა ქართველი ერის, არამედ საქართველოს და ოსეთის კონტრრევოლუციის წინააღმდეგ. ალექსანდრე გაგლოვეს მიაჩნდა, რომ მთავრობა ამ მოლაპარაკებით დროის მოგებას ცდილობდა.<sup>84</sup>

6-7 მაისს ცენტრალური კომიტეტის დავალებით სტალინი ორჯონიკიძეს უბრუნებდა ორჯონიკიძეს და აუხსნა, რომ პარტიის ცეკას მოთხოვნა – საბრძოლო მოქმედებების შეწყვეტის შესახებ – საერთაშორისო მდგომარეობით იყო ნაკარნახები. ამასთანავე იგი ორჯონიკიძეს ურჩევდა, რომ საქართველოს შიგნით აჯანყებულებს არ ეჩქარათ და ძალები დაეზოგათ უახლოესი მომავლისთვის. ორჯონიკიძე გატყდა და განაცხადა, რომ იგი ემორჩილებოდა „ლენინურ“ შესვენებას, რათა ჯერ პოლონელებისთვის მიეხედათ, ხოლო შემდეგ – საქართველოსთვის.<sup>85</sup> ამის მიუხედავად, ბრძოლები საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარზე ქართულ და საბჭოთა

82 გრიგოლ უვანია, როგორ მზადდებოდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაცია (დოკუმენტები), გვ. 38-39.

83 Известия Юго-Осетинского научно-исследовательского института краеведения. Выпуск II, Стр. 124.

84 Воспоминания участников гражданской войны в Юго-Осетии 1917-1921 гг., Стр.105.

85 გრიგოლ უვანია, როგორ მზადდებოდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაცია (დოკუმენტები), გვ. 39-44.



არმიას შორის 18 მაისის ჩათვლით გაგრძელდა. 7 მაისს კი მოსკოვში რუსეთსა და საქართველოს შორის დაიდო სამშვიდობო ხელშეკრულება, რომლითაც რუსეთი ცნობდა საქართველოს დამოუკიდებლობას, მის ტერიტორიულ მთლიანობას (მათ შორის, მთელი გორის მაზრის ჩათვლით) და უარს ამბობდა საქართველოს შიდა საქმეებში ჩარევაზე.<sup>86</sup>

იმ დროს, როდესაც ოსმა ბოლშევიკებმა როკის სასოფლო საზოგადოებაში საბჭოთა რესპუბლიკა და რუსეთთან შეერთება გამოცხადეს, ცხინვალში, ჯავასა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე საქართველოს სახალხო გვარდიის მხოლოდ ერთი მცირერიცხოვანი ბატალიონი იდგა.

15 მაისს სოფელ კომპასთან ოს ბოლშევიკებსა და გვარდიის მზვერავებს შორის მცირე შეტაკება მოხდა. ეს ინციდენტი ოსმა ბოლშევიკებმა საბჭოთა რუსეთზე თავდასხმად მონათლეს.<sup>87</sup> რუსეთის საგარეო საქმეთა კომისრის ნოტამაც არ დაახანა. 17 მაისს ჩიჩერინი საქართველოს მთავრობას სწერდა, რომ სამხრეთ ოსეთში, სადაც საბჭოთა ხელისუფლება გამოცხადდა, ქართული ჯარის ყოფნა შემფოთებას იწვევდა. ჩიჩერინი სამხრეთ ოსეთიდან ქართული ჯარის გაყვანას მოითხოვდა, რადგან, მისი აზრით, ეს იყო საქართველოს ჩარევა საბჭოთა ოსეთის შიდა საქმეებში. 20 მაისს საპასუხო ნოტაში ევგენი გეგეჭკორი აცხადებდა, რომ საქართველოში სამხრეთ ოსეთი არ არსებობდა. იყო მხოლოდ ოსური სოფლები გორის მაზრაში და ეს ტერიტორია საქართველო-რუსეთს შორის დადგენილი საზღვრის სამხრეთით მდებარეობდა. გეგეჭკორი ჩიჩერინს მოუწოდებდა, დროულად გაეყვანათ როკიდან საბჭოთა რაზმი.<sup>88</sup>

20 მაისს სამხრეთ-ოსეთის საოლქო კომიტეტის თავმჯდომარემ ვლადიმერ სანაკოევმა ამავე კომიტეტის მდივან ალექსანდრე ჯატიევს ვლადიკავკაზიდან როკში ღირექტივა გაუგზავნა. სანაკოევი თანამებრძოლს აცნობდა რუსეთ-საქართველოს 7 მაისის ხელშეკრულებას და ამ ხელშეკრულებით რუსეთისა და საქართველოს მიერ ნაკისრ ვალდებულებას ერთმანეთის შიდა საქმეებში ჩაურევლობის შესახებ, თუმცა იქვე არწმუნებდა ადრესატს, რომ არავითარ შემთხვევაში არ იგეგმებოდა

86 სცსა, ფონდი 1864, აღწერა 2, საქმე 244, ფურც.1-4.

87 Борьба трудящихся Юго-Осетии за Советскую власть 1917-1921 гг, Стр. 78-79.

88 ლევან თოიძე, როგორ შეიქმნა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, გვ. 34-36.



ევგენი გვიშვილი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის  
საგარეო საქმეთა მინისტრი

აჯანყების ლიკვიდაცია, მისი გაფართოების საკითხს კი სიფრთხილით უნდა მოჰკიდებოდნენ; ამასთანავე სანაკოვეი ჯატივეს ურჩევდა, რომ მოლაპარაკება წამოეწყო მთავრობასთან ხარითონ გასიყვის შუამავლობით ან კიდევ ჯარის მეთაურებთან, რათა ქართული ჯარები ოსეთის ახლოს არ მდგარიყვნენ და ასეთ შემთხვევაში მათთვის მიეცა პირობა, რომ თავს არ დაესხმებოდნენ. სანაკოვეი აზუსტებდა, რასაკვირველია, ეს პირობა დროებითიაო („разумеется, до поры, до времени“). დირექტივაში ასევე ნათქვამი იყო, რომ ვლადიკავკაზში სამხრეთ ოსეთის ბრიგადის პირველი პოლკი უკვე შეიარაღდა და დაკომპლექტდა, ხოლო მეორე პოლკის რვა ასეული უკვე მზად იყო და მის სრულ ფორმირებას ერთი ასეულია აკლდა. მათი სურვილი იყო დროზე დაძრულიყვნენ საქართველოსკენ, მაგრამ მდგომარეობის გათვალისწინებით მენშევიკების სიკვდილმა ცოტა დროით გადაინიაო.<sup>89</sup> ვლადიკავკაზში განთავსებული პირველი პოლკის მეთაურის და შემდეგში ცხინვალის რეგიონში შემოჭრილი რაზმების მეთაურის, მათე სანაკოვეის ინფორმაციით, 15 მაისისთვის პირველ პოლკში 965 მებრძოლი ირიცხებოდა, მათი 90 პროცენტი ყოფილი ფრონტელი და გამოცდილი მეთომარი იყო. მისი თქმით, პოლკი არაფრით არ განსხვავდებოდა წითელი არმიის რეგულარული ნაწილებისგან.<sup>90</sup>

25 მაისს ჯავის მახლობლად, სოფელ ელბაჩთან, კიდევ ერთი შეტაკება მოხდა როკიდან ჯავისკენ მიმავალ აჯანყებულთა სადაზვერვო რაზმსა და გვარდიის რაზმს შორის. აჯანყებულთა ინფორმაციით, გვარდიელებმა უკან დაიხიეს.<sup>91</sup>

28 მაისს ვლადიკავკაზში შეიკრიბა რუსეთის კომუნისტური პარტიის სამხრეთ-ოსეთის ორგანიზაციის მეორე კონფერენცია, რომელმაც მემორანდუმი გაუგზავნა რუსეთის კომპარტიის ცეკას, რუსეთის მთავრობასა და კავკასიის ფრონტს. მემორანდუმი სავსე იყო საქართველოს მთავრობის ლანძღვით, ცილისწამებით, დამახინჯებული ფაქტებითა და გაზვიადებული ამბებით. ისინი ე.წ. სამხრეთ ოსეთს რუსეთის განუყოფელ ნაწილად

89 Борьба трудящихся Юго-Осетии за Советскую власть 1917-1921 гг. Документы и Материалы, Стр.82-84.

90 Воспоминания участников гражданской войны В Юго-Осетии 1917-1921 гг., Стр.47.

91 Борьба трудящихся Юго-Осетии за Советскую власть 1917-1921 гг., Документы и Материалы, Стр.85-86.

აცხადებდნენ. წერდნენ, რომ სამხრეთ ოსეთი პირდაპირ უნდა შესულიყო რუსეთის შემადგენლობაში, დანარჩენი საქართველო კი თბილისის და ქუთაისის გუბერნიების სახით. ოსი ბოლშევიკები დახმარებას სთხოვდნენ წითელ არმიას.<sup>92</sup>

31 მაისს ოსური სამხედრო რაზმი მათე სანაკოევის მეთაურობით ვლადიკავკაზიდან საქართველოსკენ დაიძრა. შეტევის დაწყების სანქცია რუსეთის ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან გაიცა თუ არა, უცნობია, ვინაიდან მსგავსი დოკუმენტი ქართულ არქივებსა თუ გამოქვეყნებულ დოკუმენტებში არ იძებნება, რუსულ არქივებზე კი ხელი არ მიგვიწვდება. ზოგადად, რაც ზუსტად ვიცით ისაა, რომ რუსები ოსურ ბრიგადას ორი თვე წვრიდნენ, აირალებდნენ და საქართველოსკენ ამხელა დაჯგუფების გადმოსროლაც მათი თუნდაც სიტყვიერი ნებართვისა და ხელშეწყობის გარეშე ვერ მოხდებოდა. შესაძლოა, ამ სამხედრო რაზმის საქართველოში შეჭრისთვის წერილობითი ბრძანება არც დაწერილა, ან ცენტრალური ხელისუფლების სახელით არ გაცემულა, რაც საბჭოთა ხელისუფლებისთვის ჩვეული ტაქტიკა იყო. მაგალითად, 1920 წლის 3 დეკემბერს, საქართველოში შესაძლო შეჭრის წინ, სტალინი ორჯონიკიძეს სწერდა, რომ ჯარები უნდა შეეყვანათ არმიის ან ფრონტის განკარგულებით და არა მთავრობის სახელით.<sup>93</sup> რუსეთი ავანტურაზე მიდიოდა, თუმცა ეს „თამაში“ მას საერთოდ არ დააზარალებდა – თუ სამხედრო დაჯგუფება წარმატებას მიაღწევდა და საქართველოს სხვა კუთხეებშიც დაიწყებოდა მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლა, კრემლი ამის კარგად გამოიყენებდა; თუ არადა უბრალოდ ხელებს დაიბანდა და მომხდართან ყოველგვარ კავშირს უარყოფდა, რაც მოხდა კიდევ.

ვლადიკავკაზიდან დაძრული ოსური დაჯგუფება 4 ივნისს სოფელ ნარში სამ ნაწილად დაიყო. ორი მთავარი რაზმი გორის მაზრაში როკისა და ზეკარის უღელტეხილებით გადმოვიდა, მესამე კი რაჭის მაზრის მიმართულებით დაიძრა<sup>94</sup> და სოფლები: ყემულთა, წონა, თედელეთი,

92 Борьба трудящихся Юго-Осетии за Советскую власть 1917-1921 гг., Документы и Материалы, Стр. 87-98.

93 ოთარ ჯანელიძე, 26 მაისიდან 25 თებერვლისკენ, თბ., 1990, გვ. 31.

94 Воспоминания участников гражданской войны в Юго-Осетии 1917-1921 гг., Стр.75-



ოსი ბოლშევიკების სამხედრო რაზმი



ჩასავალი და წედისი დაიკავა. პოლკოვნიკი ინწკირველი ონიდან ერთი ბატალიონით კონტრშეტევაზე გადავიდა, მონინაალმდევე სოფელ წედისიდან განდევნა და ჩასავლისკენ დაახვეინა.<sup>95</sup> ამასობაში, როკის და ზეკარის უღელტეხილებიდან საქართველოში გადმოსულმა ორმა ოსურმა რაზმმა სხვადასხვა მხრიდან დაარტყა ჯავას და მის მიმდებარე სოფელ მსხლებში განლაგებულ გვარდიის ბატალიონს და ჯავა აიღო. ოსური სამხედრო დაჯგუფების მეთაურის, მათე სანაკოევის ინფორმაციით, მათ ჯავასა და მის მიდამოებში ბრძოლისას 73 ქართველი ჯარისკაცი მოკლეს, ამ რიცხვში ის არ თვლიდა ლიახვში დამხრჩვალ გვარდიელებს.<sup>96</sup> ოსური წყაროების მიხედვით, მათ ტყვედ აიყვანეს 400-დან 550-მდე სამხედრო. ქართული მონაცემებით კი, ოსურმა რაზმებმა ტყვედ ჩაიგდეს 354 სამხედრო და მილიციელი.<sup>97</sup> 8 ივნისს, მცირე შეტაკების შემდეგ, ოსებმა ცხინვალიც აიღეს. სამხრეთ ოსეთის რეგკომის ხელმძღვანელ ვლადიმერ აბაევის ცნობით, 8 ივნისს ცხინვალში მათ უკვე 2000 შეიარაღებული წითელი პარტიზანი ჰყავდათ.<sup>98</sup> ცხინვალის აღების შემდეგ მათე სანაკოევა, როგორც თავად იხსენებდა, ახალი გეგმა შეადგინა, რომელიც გულისხმობდა: ქალაქ გორის აღებას, რკინიგზის დაკავებას გორიდან სურამის გვირაბამდე, მტკვარზე ხიდების დანგრევას, მობილიზაციის გამოცხადებას, დარიალის ხეობაში განლაგებული ქართული ნაწილებისთვის ზურგიდან თავდასხმას, დარიალიდან ვლადიკავკაზთან დაკავშირებას და შემდეგ ონის რაიონზე იერიშის მიტანას. სანაკოევის გეგმებს მცირედი ლაგამი ამოსდო ალექსანდრე ჯატიევმა.<sup>99</sup> 8 ივნისს ცხინვალში საბჭოთა ხელისუფლება გამოცხადდა. ოსეთის ცენტრი ცხინვალი უნდა ყოფილიყო, ხოლო ტერიტორია ონიდან დუშეთამდე მონაკვეთს მოიცავდა. აჯანყებულებმა საბჭოთა რუსეთის შემადგენლობაში შესვლის სურვილი გამოთქვეს და

---

76; 97; 185

95 სცსა, ფონდი1970, აღწერა 3, საქმე 18, ფურც.12.

96 Воспоминания участников гражданской войны В Юго-Осетии 1917-1921 гг., Стр.76-79.

97 Воспоминания участников гражданской войны В Юго-Осетии 1917-1921 гг., Стр.80, 105; გაზ., „ერთობა“, 1920 წლის 15 ივლისი, N 157, გვ.3.

98 Воспоминания участников гражданской войны В Юго-Осетии 1917-1921 гг, Стр.63.

99 Воспоминания участников гражданской войны В Юго-Осетии 1917-1921 гг., Стр.83.

ჩრდილო კავკასიაში განლაგებულ მე-10 წითელ არმიას გაუგზავნეს მიმართვა, რომელშიც სთხოვდნენ ცენტრთან შუამდგომლობას, რათა სამხრეთ ოსეთში, როგორც რუსეთის განუყოფელ ნაწილში, წითელი არმია შეეყვანა.<sup>100</sup> საქართველოს არმიის გენერალური შტაბის იმავე დღის ცნობით, ოსური ბანდები ძარცვავდნენ ცხინვალის მიმდებარე სოფლების ქართულ მოსახლეობას.<sup>101</sup> სახელმწიფო დიდი ხნის განმავლობაში ითმენდა რეგიონში მიმდინარე არეულობას. ხელისუფლებამ ბევრი რამ აპატია ოს ბოლშევიკებს, მათ შორის 1918-1919 წლების ანტისახელმწიფოებრივი აჯანყებები და ადმინისტრაციის ლიდერების დახოცვა, გორის მაზრის მთიან ზოლში ერობისა და დამფუძნებელი კრების არჩევნების ჩაშლა, მაგრამ ის, რაც 1920 წლის მაის-ივნისში მოხდა, ყველანაირ ზღვარს გასცდა – ომის პირობებში ზურგიდან დარტყმა და ახალი ფრონტის გახსნა, გვარდიელების დახოცვა, ქვეყნისთვის მისი განუყოფელი ნაწილის წართმევა და საბჭოთა რუსეთის ნაწილად გამოცხადება – თანაც ეს გორის მაზრაში მცხოვრები ოსი მოსახლეობის მხოლოდ უმცირესი ნაწილის სურვილი იყო; სურვილი, რომელსაც არანაირი ისტორიული, სამართლებრივი თუ მორალური საფუძველი არ ჰქონდა და მხოლოდ ძალმომრეობას ეფუძნებოდა. მთავრობამ გადაწყვიტა ამ ყველაფრისთვის ბოლო მოეღო.

8 ივნისს აზერბაიჯანის საზღვრიდან გვარდიის ნაწილების გორში გადასროლა დაიწყო. 10 ივნისს იქ თავი მოიყარა გვარდიის 8 ბატალიონმა (3230 გვარდიელი), ასევე ცხენოსანმა დივიზიონმა და არტილერიის ორმა ბატარეამ.<sup>102</sup> ოპერაციას საერთო ხელმძღვანელობას უწევდა საქართველოს შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი, გენერალი გიორგი კვინიტაძე. ჯარი დაიყო ოთხ კოლონად, ორი ცენტრალური კოლონის ამოცანა იყო ცხინვალის განთავისუფლება, ხოლო მარჯვენა და მარცხენა კოლონების ამოცანა – ცხინვალის ფლანგებიდან შემოვლა, იქაური სოფლების განთავისუფლება და მოწინააღმდეგის განდევნა.<sup>103</sup>

100 Борьба трудящихся Юго-Осетии за Советскую власть 1917-1921 гг. Документы и Материалы, Стр. 99-100; 102-103.

101 გაზ. „ერთობა“, 1920 წლის 11 ივნისი, N129, გვ.2.

102 Валико Джугели, Тяжёлый Крестъ (Записки Народоохранителя), Тифлици 1920, Стр.228; სცსა, ფონდი 1970, აღწერა 3, საქმე 17, ფურც.37-41.

103 Генерал Г.И. Квинитадзе, Мои воспоминания в годы независимости Грузии 1917-



სამთავრობო ჯარმა ცხინვალი ძალიან მარტივად – ერთი შეტევით – 12 ივნისის დილის 9 საათზე გაათავისუფლა. წარმატებას მიაღწიეს ფლანგებმაც. 14 ივნისს ქართულმა ჯარმა აიღო ჭავა, ხვწე და გერი; 20 ივნისს სოფელი როკი, ხოლო მომდევნო დღეებში ჩრდილო კავკასიაში გადასასვლელი უღელტეხილები დაიკავა. 12 ივნისიდან ოპერაციის ბოლომდე ქართულ ჯარს დიდი წინააღმდეგობა არ შეხვედრია და მცირე შეტაკებებით ათავისუფლებდა რეგიონს. მისი დანაკარგი კი სულ რამდენიმე დაღუპული და 20-მდე დაჭრილი გვარდიელი იყო.<sup>104</sup>

პირველი სამი დღის განმავლობაში სამთავრობო ჯარები არცთუ იშვიათად ამეტებდნენ საკუთარ უფლებამოსილებას – ისინი მაროდორობდნენ და წვაგდნენ აჯანყებულთა სახლებს, რაც კარგად ჩანს ვალიკო ჯუღელის დღიურიდანაც. 15 ივნისს სამხედრო შტაბისა და სამხედრო ნაწილების მეთაურთა თათბირზე დისციპლინის გამკაცრების გადაწყვეტილება მიიღეს. ვალიკო ჯუღელმა, რომელიც წინა დღეებში სახლების დაწვაზე წუხდა, თუმცა ამართლებდა, 15 ივნისს დღიურში ჩაწერა: „დადგა საკითხი მაროდორობისა და სახლების გადანვის შესახებ. მივიღეთ ერთობლივი გადაწყვეტილება სახლების გადანვის, მარადორობის ლიკვიდაციისა და მკაცრი წესრიგის დამყარების შესახებ. მაშინვე გულზე მომეშვა“.<sup>105</sup>

18 ივნისს აჯანყებულებმა ისევ ლენინსა და ჩიჩერინს მიმართეს ქმედითი დახმარებისთვის; თან შეახსენეს, რომ 8 ივნისს საბჭოთა ხელისუფლება რუსეთის კომუნისტური პარტიის კავკასიის სამხარეო კომიტეტის 23 მარტის ბრძანებით გამოაცხადეს, დამონმებული ბრძანება კი სპეციალური კურიერის მეშვეობით 6 მაისს მიიღეს.<sup>106</sup>

საბჭოთა რუსეთმა თავისი წამოწყებული და დამარცხების გზაზე მყოფი ავანტიურისგან თავი შორს დაიჭირა. 7 ივნისს რუსეთის კომუნისტური პარტიის პოლიტბიურომ დაამტკიცა კავკასიაში მოქმედების ინსტრუქცია.

---

1921, Париж 1985, Стр.198-199.

104 Валико Джугели, Тяжёлый Кресть (Записки Народногвардейца), Стр.229-235; მანუჩარ გუნცაძე, 1920 წლის ოსთა აჯანყება შიდა ქართლში ქართული პრესის მასალების მიხედვით, ქართული წყაროთმცოდნეობა XV-XVI, თბ., 2013/2014, გვ. 53.

105 Валико Джугели. Тяжёлый Кресть (Записки Народногвардейца), стр.229-235.

106 Борьба трудящихся Юго-Осетии за Советскую власть 1917-1921 гг. Документы и Материалы, Стр. 113-114.



1920 წლის ივნისში საბჭოთა რუსეთიდან ვორის მაზრაში შემოჭრილი ბოლშევიკური რაზმების წინააღმდეგ ჩატარებული სამხედრო ოპერაციის მეთაური, გენერალი ვიორგი კვინიტაძე

ინსტრუქციაში ნათქვამი იყო, რომ ხელი არ უნდა შეეწყობოთ აჯანყებებისთვის, ხოლო აჯანყების მოსურნეებისთვის განემარტათ, რომ ეს ხდებოდა მსოფლიო კონიუნქტურისა და რუსეთში არსებული მდგომარეობის გამო. რაც შეეხება დაწყებულ აჯანყებებს, მაგალითად, სამხრეთ ოსეთში უნდა ჩაექროთ ამნისტიის საფუძველზე.<sup>107</sup> 14 ივლისს საქართველოში საბჭოთა რუსეთის ელჩმა სერგეი კიროვმა უარყო რუსეთის კომპარტიის კავშირი აჯანყებასთან და დასძინა, რომ კომპარტიის ცეკა კომუნისტური პარტიის სამხრეთ ოსეთის „საოკრუგო“ კომიტეტის არსებობას არ ცნობდა.<sup>108</sup> სინამდვილეში კი მოსკოვში კომინტერნის მეორე კონგრესზე მივლინებულ ამ კომიტეტის წევრ რაზდენ კოზავეს კონგრესის მუშაობის მეოთხე დღეს (26 ივლისს) ლენინმა პირად საუბარში უთხრა: „ძვირფასო, ამხანაგო მთიელო! თქვენს მშობლიურ მთებამდე მისვლასაც ვერ მოასწრებთ, რომ მენშევიკები უკვე შავ ზღვას იქნებიან გაცილებულები. ნუ ღელავთ, დაბრუნდით უკან და სამხრეთ ოსეთის მებრძოლ ორგანიზაციას ჩემი სალაში გადაეცით“.<sup>109</sup>

18 ივნისს, საბრძოლო მოქმედებების მიმდინარეობისას, საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება სოფელ როკის გაუქმების შესახებ. გარდა ამისა, დადგენილებაში ნათქვამი იყო, რომ მემლობე ოსები, რომლებიც გაიქცნენ, უკან არ უნდა დაებრუნებინათ; ჯავიდან და მისი მიმდებარე ტერიტორიიდან უნდა გადაესახლებინათ აჯანყებულთა მხარდამჭერები და მათ ნაცვლად ქართველები ჩაესახლებინათ; სახელმწიფოს ერთგული ოსები უნდა დარჩენილიყვნენ საკუთარ სოფლებში და თუ სამხედრო მოქმედებებით რაიმე ზარალი მიადგათ, რესპუბლიკის ბიუჯეტიდან აუნაზღაურდებოდათ.<sup>110</sup> საეჭვო პირები კი უნდა გადაესახლებინათ საქართველოს სხვა რაიონებში, თუმცა პრაქტიკაში ეს ბოლო პუნქტი არ შესრულებულა. როგორც ამ დადგენილებიდან ჩანს, საქართველოში მცხოვრები ოსების ერთი ნაწილი

107 გრიგოლ ჟვანია, როგორ მზადდებოდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაცია (დოკუმენტები), გვ. 44-47.

108 ლევან თოიძე, როგორ შეიქმნა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, თბ., 1990. გვ. 46.

109 Воспоминания участников гражданской войны в Юго-Осетии 1917-1921 гг., стр.52.

110 სცსა, ფონდი 1863, აღწერა 1, საქმე 320, ფურც. 241.

გადაასახლეს არა ეთნიკური, არამედ სახელმწიფოსადმი არალოიალობის ნიშნით; გადასახლეს ისინი, ვინც ორი წლის განმავლობაში იარაღით ხელში ებრძოდნენ მთავრობას, კლავდნენ ჯარისკაცებს, შლიდნენ არჩევნებს, მეზობელი სახელმწიფოს ნაწილად აცხადებდნენ თავს, ეს მეზობელი სახელმწიფო კი აიარაღებდა და წვრთნიდა მათ საქართველოს წინააღმდეგ. ასეთი ადამიანები საქართველოს ეთნიკურად ოსური მოსახლეობის უმცირესობას წარმოადგენდნენ. ჩრდილო კავკასიაში გადასახლეს ან თავად გაიქცა დაახლოებით 20 000 ან ცოტა მეტი ეთნიკურად ოსი ბოლშევიკი თუ მათი მხარდამჭერი.



ვალეკო ჯუღელი -  
სახალხო გვარდიის მეთაური

20 000-მდე ან 20 000-ზე მეტი – ასეთია ფორმულირება ლტოლვილთა რაოდენობის შესახებ აჯანყების მეთაურების მიერ ერთმანეთთან თუ ლენინთან გაგზავნილ წერილებში 1920 წლის ივლის-სექტემბერში.<sup>111</sup> ეს რიცხვი მეორდება 1921 წლის 24 იანვარს სამხრეთ-ოსეთის კომპარტიის „საოკრუგო“ კომიტეტის გადაწყვეტილებაში, რომლის თანახმადაც, ჩრდილო კავკასიაში მყოფი 20 000 ოსი ლტოლვილის დელეგირებით ვლადიკავკაზში უნდა შეკრებილიყო სამხრეთ ოსეთის აჯანყებულ მიგრანტთა ყრილობა.<sup>112</sup>

თუ სეპარატისტთა ლიდერები ერთმანეთთან და ლენინთან მიმონერაში 20 000 ლტოლვილზე საუბრობდნენ, 1920 წლის სექტემბრის

111 Борьба трудящихся Юго-Осетии за Советскую власть 1917-1921 гг., Документы и Материалы, Стр.140-141;144; 180.

112 Борьба трудящихся Юго-Осетии за Советскую власть 1917-1921 гг. Документы и Материалы, Стр.209.



საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო გვარდიის ცხენოსანი დივიზიონი

გაზეთ „სოვეტსკი კავკაზში“ წერდნენ, რომ კავკასიონის ქედზე 50 000 ლტოლვილი გადავიდა.<sup>113</sup> საქართველოს ოკუპაციის შემდეგ, 1921 წელს, სამხრეთ ოსეთის რეგკომმა გაქცეულთა რაოდენობა 25 000-30 000-მდე გაზარდა.<sup>114</sup> 1935 წელს სამხრეთ ოსეთის მხარეთმცოდნეობის სამეცნიერო ინსტიტუტის „იზვესტიის“ წინასიტყვაობაში ლტოლვილთა რიცხვი 40 000-მდე ასწიეს,<sup>115</sup> ხოლო 1980-იან წლებში სსრკ-ის ცეკ-ის გენერალური მდივნის, იური ანდროპოვის, სახელზე გაგზავნილ წერილში მათი რაოდენობა 75 000-ზე ავიდა.<sup>116</sup> სხვადასხვა წლებში მონაცემების სშირი ცვლა და რიცხვებით მანიპულირება ნათლად მიანიშნებს, რომ საკითხი ყოველთვის სპეკულაციის საგანი იყო.

113 Борьба трудящихся Юго-Осетии за Советскую власть 1917-1921 гг. Документы и Материалы,. Стр.184-187.

114 შინაგან საქმეთა სამინისტროს საარქივო სამმართველო, მეორე განყოფილება (ყოფილი საქართველოს სსრ კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის არქივი), ფონდი 14, აღწერა 1, საქმე 48, ფურც.12.

115 Известия Ю-Осетинского научно-исследовательского института краеведения. Выпуск II, стр.4.

116 ლევან თოიძე, როგორ შეიქმნა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, გვ.100-102.

1920 წლის ზაფხულის შემდეგ საქართველოში მშვიდობიან ცხოვრებას აგრძელებდა 75 000-მდე ოსი მოქალაქე. მათ არავინ შეხებია და ისინიც სახელმწიფოს ერთგულად აცხადებდნენ თავს, ბოლშევიკების საქციელს კი გამოხდნენ. გორის მაზრის, ხაშურის რაიონისა და ცემის საზოგადოების ოსებმა 6 ივლისს მთავრობის თავმჯდომარეს მისწერეს, რომ ისინი კიცხავდნენ და ოსებისთვის დამლუპველად მიიჩნევდნენ მთის ოსების აჯანყებას; მათივე თქმით, მეამბოხეებმა მათაც გაუგზავნეს აგიტატორები, რომლებიც აჯანყებისკენ მოუწოდებდნენ, თუმცა ვერ აიყოლიეს. წერილის ავტორები იმასაც ამბობდნენ, რომ მეამბოხეთა ბანდებმა მშვიდობიანი ოსი მოსახლეობა დააზარალეს.<sup>117</sup> ოსური ბანდები ხაშურის რაიონშიც რომ მოქმედებდნენ, ამას ადასტურებს 1920 წლის 3 ივლისის გორის გვარდიის შტაბების წარმომადგენელთა სხდომის სტენოგრამა, რომელშიც ხაშურის წარმომადგენელი ადასტურებდა ასეთი ჯგუფების მოქმედებას ხაშურის რაიონის სოფლებში.<sup>118</sup>

20 ივნისს, საბრძოლო მოქმედებების მიმდინარეობისას, ცხინვალში დახვრიტეს აჯანყების 13 მონაწილე.<sup>119</sup> საერთოდ, დაღუპულთა რაოდენობაც გადასახლებულების მსგავსად მალევე იქცა სპეკულაციის საგნად. ბოლშევიკი ლიდერები წერდნენ, რომ სამთავრობო ჯარები არ ინდობდნენ ლტოლვილებს, მათ შორის მოხუცებსა და ქალებს. სრულიად სხვა სურათს გვიხატავს გორის სამაზრო ერობის 6 ივლისის გამგეობის სხდომის სტენოგრამა: ერობის თავმჯდომარე კლიმიაშვილი – „დიდად გაჭირდა საქმე ჩრდილოეთში მიმავალი ოსებისა. დაუძლურებულნი და დამშეულნი, გზას ვეღარ განაგრძობენ. ჯერჯერობით მათ კვებავს საველე შტაბი“.<sup>120</sup> ძალადობისა და მკვლელობის ცალკეული შემთხვევები ნამდვილად ხდებოდა. შურისძიების გრძნობას ყველა შემთხვევაში ლაგამი ვერავინ ამოსდო და ადამიანური ტრაგედიებიც დატრიალდა, თუმცა, თუ ამას ორგანიზებული და მასობრივი ხასიათი ჰქონდა, მაშინ რაღად კვებავდა ჯარის საველე შტაბი გადასახლებაში მიმავალ ხალხს? ან თუ აჯანყებული

117 ვაზ. „ერთობა“, 1920 წლის 6 ივლისი, N150, გვ. 3.

118 სცსა, ფონდი 1863, აღწერა 1, საქმე 853, ფურც. 283.

119 З.Н. Ванеев И.В. Догужов, Из Истории борьбы трудящихся Юго-Осетии за Советскую власть, Сталинир, 1957, Стр. 36.

120 სცსა, ფონდი 1921, აღწერა 1, საქმე 19, ფურც. 46.

ოსების ორგანიზებული მკვლევლობის სურვილი ჰქონდა რესპუბლიკას, თავდაცვის საბჭო მათი გადასახლების დადგენილების ნაცვლად ხომ სულ სხვა ბრძანებას გასცემდა?

ბოლშევიკი ლიდერები იმასაც წერდნენ, რომ საქართველოდან გასახლებულებს ჩრდილოეთ ოსეთში ადგილობრივი მოსახლეობა მტრულად შეხვდა. მათე სანაკოვეი იგონებდა: „ჩრდილო ოსეთიდან მივიღეთ შემამფოთებელი ცნობები: კონტრრევოლუციური-ბანდიტური ელემენტები ძარცვავდნენ მოხუცებსა და ქალებს, კლავდნენ, იტაცებდნენ ქალიშვილებს, პარავდნენ ცხოველებს უკანდახეულ აჯანყებულებს ..“.<sup>121</sup> 1920-1921 წლებში ოსთა ბოლშევიკი ლიდერები აღნიშნავდნენ, რომ ჩრდილო ოსეთში გადასახლებულებს შორის გაჩნდა ქოლერა, რომელმაც რამდენიმე ათასი ლტოლვილი შეიწირა.<sup>122</sup> დაღუპულთა კონკრეტული რიცხვი (4812 ადამიანი) პირველად თბილისის რუსულენოვან გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ 1924 წლის N575-ში გაჩნდა. პროპაგანდისტული გაზეთი მკითხველს ინგლისელი ოკუპანტებისა და სამშობლოს მოღალატე მენშევიკური მთავრობის მხეცობასა და მტაცებლობაზე მოუთხრობდა და იტყობინებოდა, რომ მენშევიკურმა მთავრობამ ინგლისელთა მონაწილეობით სამხრეთ ოსეთში 4812 ადამიანი მოკლა.<sup>123</sup> „ზარია ვოსტოკას“ მონაცემი ზუსტად გაიმეორა სამხრეთ ოსეთის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა სოციალური უზრუნველყოფის კომისარიატმა 1925 წლის 24 სექტემბერს სსრკ-ის კომპარტიის ცეკასადმი მიწერილ მოხსენებით ბარათში.<sup>124</sup> იგივე მონაცემი გამოქვეყნდა 1928 წელს ოსურენოვან გაზეთ „ხურზარინის“ N21-ში, თუმცა იქ ფორმულირება უკვე დაზუსტებული იყო. გაზეთის მტკიცებით, 669 ადამიანი საბრძოლო მოქმედებების პერიოდში მოკლეს, ხოლო 4143 დევნილობაში დაიღუპა.<sup>125</sup> სამხრეთ ოსეთის კომპარტიის ცეკას მიერ

121 Воспоминания участников гражданской войны в Юго-Осетии 1917-1921 гг., Стр.87.

122 შინაგან საქმეთა სამინისტროს საარქივო სამმართველო. მეორე განყოფილება (ყოფილი საქართველოს სსრ კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის არქივი). ფონდი 14, აღწერა 1, საქმე 48,ფურც.12; Борьба трудящихся Юго-Осетии за Советскую власть 1917-1921 гг. Документы и Материалы, Стр.262.

123 "Заря Востока", 14 мая 1924г, N.575, стр3.

124 Борьба трудящихся Юго-Осетии за Советскую власть 1917-1921 гг. Документы и Материалы, Стр.261.

125 შინაგან საქმეთა სამინისტროს საარქივო სამმართველო, მეორე განყოფილება (ყოფილი საქართველოს სსრ კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის

1929 წელს ავტონომიურ ოლქში ეროვნული უმცირესობების საკითხზე გაკეთებულ საინფორმაციო მოხსენებაში კი ახალი ფორმულირება გაჩნდა. მოხსენების თანახმად, 4812 ადამიანი მენშევიკების ოპერაციის, რუსეთში მიმდინარე სამოქალაქო ომისა და ეპიდემიებისგან დაიღუპა.<sup>126</sup> ამ ცნობაში ერთი საინტერესო დეტალია – სამხრეთელი ოსების მსხვერპლი რუსეთის სამოქალაქო ომში. საბჭოთა რუსეთმა მის მიერ პროვოცირებულ, აჯანყებულ და შემდეგ მითოვებულ ოსებს ჩრდილოეთში გადასვლის შემდეგ ცხოვრების ნორმალური პირობები ვერ შეუქმნა და კიდევ ერთხელ გამოიყენა, ამჯერად თავის სამოქალაქო ომში – თეთრი მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩართო ათასზე მეტი ოსი ლტოლვილი.<sup>127</sup> ცნობილია, რომ 1920 წლის სექტემბერში კაზაკურ სტანიცა ბურგუსტანის აჯანყებულ მოსახლეობასთან ბრძოლაში, სხვადასხვა მონაცემით, სამხრეთ ოსეთის ბრიგადის 330-დან 545-მდე მეზობელი დაიღუპა.<sup>128</sup> კიდევ ერთი მონაცემი – 5279 დაღუპული – გაჩნდა 1936 წელს ისტორიკოს გიორგი ხაჭაპურიძის მიერ რუსულ ენაზე გამოცემულ მონოგრაფიაში „Борьба за пролетарскую революцию в Грузии“, რომელშიც ავტორი წყაროდ ასახელებს სპეციალური კომისიის მასალებს, თუმცა მის მიერ დამოწმებულ ინფორმაციას კონკრეტული საარქივო მითითება არ აქვს. ხაჭაპურიძე უბრალოდ წერდა, რომ მასალები დაცულია საქართველოს რევოლუციის მუზეუმში.<sup>129</sup> მსგავსი ინფორმაცია რეალური რომ ყოფილიყო და დოკუმენტები არსებობდეს, ხაჭაპურიძე თავის ნაშრომში ცნობის სანდოობისთვის საარქივო შიფრს მიუთითებდა და არა მთელი მუზეუმის არქივს; ან კიდევ ამ ინფორმაციას საბჭოთა ან პოსტსაბჭოთა პერიოდში რომელიმე ისტორიკოსი მაინც ნახავდა და გამოიყენებდა საკუთარ ნაშრომში. რევოლუციის ყოფილ მუზეუმში დაცული საქმეები საბჭოთა პერიოდშივე გადაეცა საქართველოს ეროვნულ არქივსა და პარტიის

---

არქივი), ფონდი.93. აღწერა 2, საქმე 1128, ფურც. 52.

126 სუიცა, ფონდი 284, აღწერა 1, საქმე 1505, ფურც. 48.

127 Очерки Истории Юго-Осетии, Том I, Цхинвали 1969, стр.266.

128 სუიცა, ფონდი 284, აღწერა 1, საქმე 184, ფურც. 134; <https://terskiykazak.livejournal.com/908587.html> . 14.10.2021

129 Георгий Хачапуридзе, Борьба за пролетарскую революцию в Грузии, Очерки. 1917-1921, Тбилиси 1936, стр.295.



ცენტრალური კომიტეტის ისტორიის არქივს (დღეს შსს-ს არქივშია), თუმცა ამ ფონდებში მსგავსი ინფორმაცია არ მოიპოვება. საბოლოოდ რამდენი სამხრეთელი ოსი დაიღუპა გორის მარაში ჩატარებული სამხედრო ოპერაციის დროს, ჩრდილოეთში გადასახლების პროცესში, ქოლერიითა თუ რუსეთის სამოქალაქო ომში მონაწილეობისას, უცნობია და დღემდე დიდი სპეკულაციის საგანს წარმოადგენს.

საბჭოთა რუსეთი 1920 წლის ნოემბრიდან, პოლონეთთან დაზავებისა და ვრანგელის<sup>130</sup> დამარცხების შემდეგ, საქართველოს ოკუპაციის სამზადისს შეუდგა. ამ პოლიტიკის ფარგლებში კომუნისტური პარტიის სამხრეთ ოსეთის „საოკრუგო“ კომიტეტმა 20 დეკემბერს ვლადიკავკაზიდან 5 პირი გამოგზავნა საქართველოში, ქარელის, გუჯარეთისა და ქსნის რაიონებში საქართველოს წინააღმდეგ მომავალი საბოლოო ბრძოლისთვის ნიადაგის მოსამზადებლად.<sup>131</sup> როდესაც საბჭოთა რუსეთს საქართველოს შიგნით აფეთქება-გასაბჭოების გეგმა ჩაეშალა, 1921 წლის თებერვალში მე-11, მე-10 და მე-9 არმიის შენაერთები დაძრა საქართველოსკენ. კავკასიონის უღელტეხილებითა და დარიალის ხეობით გადმოსულ მე-10 არმიასთან ერთად საქართველოს ჩრდილოეთიდან დაარტყა 1200-კაციანმა სამხრეთ ოსეთის ბრიგადამ.<sup>132</sup>

1921 წელს დაბრუნებულმა ოსმა ბოლშევიკებმა არაერთხელ იძალადეს რეგიონის ქართულ მოსახლეობაზე. იმავე წლის გაზაფხულზე მოსახლეობის მიერ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატში გაგზავნილი ტიპური წერილი მძიმე სურათს გვიხატავს: „ოსების შემოსვლის შემდეგ გვიხდება 3 თვე, რაც გამოქცეულები ვართ სახლებიდან... ცხინვალში დაგვიწვეს 78-80 სახლი და რაც გადარჩა საქონელი და ავეჯი და ჭირნახული, წაიღეს ჯავის რაიონისაკენ... როცა ვთხოვთ, ცემითა და მუქარით გვიპასუხებენ. ამ დროს ამოხოცეს 32 კაცი, მათში ზოგი დაწვეს და ზოგიც ცემით დახოცეს. გაუპატივრეს ქალები, დიდები, პატარები...

130 პიოტრ ვრანგელი (1878-1928) – რუსეთის სამოქალაქო ომის დროს თეთრი მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი.

131 Борьба трудящихся Юго-Осетии за Советскую власть 1917-1921 гг. Документы и Материалы, Стр.199.

132 სუიკა, ფონდი 284, აღწერა 1, საქმე 150, ფურც 134.

მოგვეცით იარაღი, რომ დავიცვათ ჩვენი თავი და მივიღეთ ჩვენ სახლებში”.<sup>133</sup> 1922 წლის 22 აპრილს საქართველოს სსრ-ის შემადგენლობაში შეიქმნა სამხრეთ ოსეთის ატონომიური ოლქი.

კვლევის შედეგად შეგვიძლია ვთქვათ, რომ გენოციდზე საუბარი ზედმეტია. ამის მიუხედავად, სიმართლეა, რომ შიდა ქართლის ოსური და ქართული მოსახლეობა ნამდვილად დაზარალდა რეგიონში 1917-1921 წლების მიმდინარე პროცესების დროს. ვის ეკისრება პასუხისმგებლობა ამ ამბებზე? ვფიქრობ – ბოლშევიკებს, დანაშაულები კრემლიდან დამთავრებული ადგილობრივი ლიდერებით. სწორედ მათ შეაიარაღეს, დაათინანსეს, განვრთნეს და დაუპირისპირეს რეგიონის მოსახლეობა საკუთარ სახელმწიფოს. ადგილობრივმა ბოლშევიკებმა დახოცეს ჯარისკაცები და სამოქალაქო პირები, იარაღით დაიკავეს სუვერენული სახელმწიფოს კუთვნილი ტერიტორია და რუსეთის ნაწილად გამოაცხადეს. როდესაც აჯანყება მესამედ განმეორდა, სახელმწიფოს პასუხი იძულებითი, თუმცა მკაცრი და მტკივნეული გამოდგა. მთლიანობაში ისტორიის ეს ფურცელი მწარე გამოცდილებაა, რომელიც გაკვეთილი უნდა გამხდარიყო, მაგრამ ამოდ... კიდევ უფრო სამწუხაროა, რომ ამ ისედაც მძიმე ისტორიის დამახინჯება და მისით სპეკულირება კვლავ ცუდ მიზანს – ქართველებისა და ოსების დაპირისპირებას – ემსახურება.

---

133 სუიცა, ფონდი 285, აღწერა 7, საქმე 19, ფურც 4.



ოსი ბოლშევიკები, 1921 წელი



## DEMOCRATIC REPUBLIC OF GEORGIA AND BOLSHEVIK UPRISINGS IN THE TSKHINVALI REGION IN 1918-1920

On July 9, 2019, the President of the Russian Federation, Vladimir Putin, stated that the Georgian Army had acted brutally in Ossetia in 1919-1920, noting that this is exactly what today is called genocide.<sup>1</sup> On July 19, 2019, the Tskhinvali occupation regime appealed to the Russian authorities to recognize the genocide against Ossetians committed by Georgia.<sup>2</sup> In September of the same year, a working group was set up in the Russian State Duma to study the issue.<sup>3</sup> In 2020, the occupied Tskhinvali declared June 20 as the "Day of Genocide."<sup>4</sup> The issue of "genocide" is not new, and often comes to the fore in parallel with tense political events. The basis for all this was laid on September 20, 1990, when the Council of the Autonomous District of South Ossetia qualified the 1920 events as genocide. Later, in 2007, the so-called parliament of South Ossetia described the events of 1918-1920 as "a struggle for national liberation of the Ossetian people," and the action of the Georgian government as "genocide against the Ossetians."<sup>5</sup>

The issue is politicized, which creates a basis for the distortion of historical reality and complicates research. Our goal is to analyze all available data – published documents and works, unknown and unpublished archival documents, press, and the memories of those involved – so as to objectively recount what happened in the Tskhinvali region a century ago. Historian Levan Toidze wrote: "It is said that the truth heals the wounds. We need to establish an objective history, not to reproach each other, but to establish the truth and learn lessons for the future."<sup>6</sup>

Genocide is best seen in population dynamics. In a case of genocide, the population decreases sharply. Let's see what the situation was with the Ossetians in this

---

1 <https://regnum.ru/news/polit/2662863.html> 31.05.2021

2 <https://ria.ru/20190719/1556702355.html> 31.05. 2021

3 <http://duma.gov.ru/news/46172/> 31.05.2021

4 <https://tass.ru/mezhdunarodnaya-panorama/8777475> 31.05.2021

5 [http://osinform.org/4518-deklaratsija\\_o\\_genotside\\_1920\\_goda\\_v\\_juzhnoj\\_osetii.html](http://osinform.org/4518-deklaratsija_o_genotside_1920_goda_v_juzhnoj_osetii.html) 31.05.2021 <https://regnum.ru/news/society/727409.html> 31.05.2021

6 Levan Toidze, How the South Ossetian Autonomous District was Established, Tbilisi, 1990, p. 38. (in Georgian)

regard, using a comparative analysis of the 1917 agricultural census of the Russian Empire and the 1926 Soviet general census. According to the 1917 census of the Russian Empire, a total of 2,362,510 people lived<sup>7</sup> in the area, while the 1926 census reports 2,677,233 inhabitants.<sup>8</sup> According to these censuses, there were 95,596 Ossetians living in the provinces of Tbilisi and Kutaisi in 1917, and 113,298 in 1926.<sup>9</sup> Thus, during this nine-year period, the Georgian population, including Ossetians, increased by 13.3%, and excluding Ossetians by 13.1%. The number of Ossetians living in Georgia increased by 18.5% during the same period. A comparative analysis of demographic statistics shows that the increase in the number of Ossetians 1.4 times exceeded the growth rate of the population of the republic overall. Perhaps the 1917 agricultural census, which also counted the population, was not thoroughly accurate, although in this case, the error would have been common. According to the statistics, there is no evidence of genocide. On the contrary, the Ossetian population was growing faster than the population of the republic. Although analysis of the population growth dynamics rules out genocide, it is still not sufficient for a complete restoration of the historical picture.

The migration of peoples has always taken place on the territory of Georgia, but the settlement of the Ossetian population became intensive in the 17<sup>th</sup>-18<sup>th</sup> centuries. The term "South Ossetia" did not exist at all in the 18<sup>th</sup> century, but according to modern Russian and separatist Tskhinvali political circles, historians and propagandists, "South Ossetia" joined Russia as early as in 1774.<sup>10</sup> In fact, back then, the Tskhinvali region was part of the Kingdom of Kartli-Kakheti and was ruled by Georgian feudals. Further, at that time, Ossetians did not live in Tskhinvali and its surrounding villages at all: The main area of their settlement was the mountainous strip of Shida Kartli.<sup>11</sup> The Russian propaganda is based on the Russo-Ottoman truce

---

7 Giorgi Peradze, Population of Georgia according to the 1917 census, Central Statistics Division of the Georgian SSR, Statistics Dispatch N1, Tbilisi, 1921, p. 23-25. (in Georgian). We excluded the data of the population of the Artvin district and the city of Artvin, since the city of Artvin and the district of Artvin were no longer part of Georgia in 1926. As such, this data would not be useful in comparison.

8 Vakhtang Jaoshvili, Georgian population in the XVIII-XX centuries, Tbilisi, 1984, p. 126. (in Georgian).

9 Giorgi Peradze, Population of Georgia according to the 1917 census, p. 23-26; Vakhtang Jaoshvili. Population of Georgia in XVIII-XX centuries, p. 139.

10 <https://regnum.ru/news/polit/2662863.html> 31.05.2021; Мариам Лордкипанидзе, Георгий Отхмезури, Шиди Картли (Исторический экскурс), Сборник Осетины в Грузии, Тбилиси, 2015, с. 37.

11 Apollon Tabuashvili. Census books of the city of Tskhinvali and its surrounding

of 1774, despite the fact that Ossetia is not even mentioned in the truce. According to Article 21 of the armistice, large and small Kabardino was transferred to Russia (it is known that at that time, Kabardino also included the territory called Ossetia, now called North Ossetia). This truce had nothing to do with the Tskhinvali region at all,<sup>12</sup> a fact that, aside from in written documents, can be well seen on contemporary official Russian maps.

In 1784, a representative of Russia, Stepan Burnashev, who was dispatched to Kartli-Kakheti, compiled a map. There is no South Ossetia on the map, which shows this territory as part of the Kingdom of Kartli-Kakheti. On the map, the inscription "Ossetia" is seen in the North Caucasus.<sup>13</sup> According to the 1792 official atlas of the Russian Empire, the territory of the Caucasus Viceroyalty did not extend to the South Caucasus.<sup>14</sup>

